ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 1 აპრილი, 2022 №65 (8843) ფასი: 80 თეთრი



გვ.5

პოლიციამ ზუგდიდში უკანონო იარაღი ამოიღო

დაკავებულია 2 პირი

ნარკოდანაშაულისთვის 8 პირი დააკავეს

მათგან 5 რეალიზატორია

გვ.5

„რუსეთი არ გაჩერდება, უკრაინის შემდეგ ჩვენც მოგვადგება!“

გვ.2

პაატა დავითაია: „რუსეთს ზუგდიდის დაბომბვაც უნდოდა, მაგრამ ბალაფში წავიდა წინააღმდეგი“

„მივმართავ საქართველოს მთავრობას, რაც შეიძლება სწრაფად იმოქმედონ! ბიბილოვი უნდა გამოცხადდეს ძებნილად!“

„უკრაინელების მხარდაჭერა მთავრობამ ნაციონალებს გადაულოცა“

გვ.3

იაგო ხვიჩია: „რომელიმე მინისტრი მაინც ჩავიდეს კიევში და გაარკვიოს, რა პრეტენზია აქვს ზელენსკის“

გვ.3

„ბიბილოვს პასუხი ოფიციალურად უნდა გაეცეს“

მურმან დუმბაძე: „შამბამ გაბედული პოზიცია დააფიქსირა“

მირიან მირიანაშვილი: „სანამ რუსეთი საგრძნობლად არ დასუსტებულა, მასთან ურთიერთობა არ უნდა დავძაბოთ“

გვ.4

„ნაცმოძრაობას საქართველო საერთოდ აღარ აინტერესებს“

ბექა დავითულიანი ბიბილოვის განცხადებაზე: „კიდევ ბევრ პროვოკაციას უნდა ველოდოთ“

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი დანიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

გვ.2

3 კახა ყრუაშვილი: „ტკბილი ქვეყნის“ ფასები 13-14%-ით გაიზარდა“

5 ბერმუდის უზენაესმა სასამართლომ ბიძინა ივანიშვილის სარჩელი სრულად დააკმაყოფილა

5 შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ევროპის საბჭოს პროექტის მმართველი კომიტეტის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო

6 ზელენსკი: „თავისუფლება ტირანიაზე არანაკლებ შეიარაღებული უნდა იყოს“

1993230720223

„რუსეთი არ გაჩერდება, უკრაინის შემდეგ ჩვენც მოგვადგება!“

პაატა დავითაია: „რუსეთს ზუგდიდის დაბომბვაც უნდოდა, მაგრამ ბაღაფში წავიდა წინააღმდეგი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პაატა დავითაია პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? თქვენთვისაც კარგად არის ცნობილი ის, რაც უკრაინაში ხდება. საკმაოდ დაძაბულია ვითარება. მოლაპარაკებები მიმდინარეობს თურქეთში, მაგრამ ამ ფონზე არ წყდება საომარი მოქმედებები. არც იმის იმედი აქვს ვინმეს, რომ რუსეთი პირობას შეასრულებს. რას იტყვით თქვენ, რა მოლოდინები გაქვთ?

– პირველ რიგში ხაზგასმით ვიტყვი, ძალიან კარგია, რომ მოლაპარაკებები დაიწყო. ძალიან ბევრი სისხლი იღვრება, ბავშვები იხოცებიან, ქალაქები ნადგურდება და მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი შეჩერდეს, თუმცა, აქვე გეტყვით იმასაც, რომ არანაირი ნდობა რუსეთის არა მაქვს, საერთოდ არანაირი. ასევე ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ არც ერთი დოკუმენტი ხელმოწერილი არ არის. თითქოს ჯარების გაყვანაზე დაიწყო საუბარი, ითქვა, რომ სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწიეს და ამ ყველაფრის ფონზე კიევი, ჩერნიგოვი მაინც დაბომბეს.

– გამოდის, რომ ამ მოლაპარაკებებსაც ფასი არ აქვს, თუკი რუსეთი მაინც არ შეასრულებს შეთანხმების პირობებს.

– მე ერთ მომენტს შევახსენებ ყველას, რატომ ვამბობ, რომ რუსეთის ნდობა არა მაქვს? მე ნანახი მაქვს ეს აფხაზეთში. როდესაც ჩვენ სამშვიდობო ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი 1993 წლის ივნისში, გამოვიყვანეთ მძიმე შეიარაღება, ზუსტად ხელმოწერიდან ორ თვეში რუსეთმა შემოგვიტია და აიღო სოხუმი განიარაღების ფონზე. ამიტომ ნდობა არის ნული! თუნდაც უკრაინა ავიღოთ, როდესაც რუსეთი, ინგლისი და ამერიკა იყო გარანტორი იმისა, რომ უკრაინა დათმობდა ატომურ იარაღს და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი იქნებოდა რუსეთი, ამერიკა და ინგლისი. რა მოხდა? მოხდა ის, რომ გარანტმა რუსეთმა დაიპყრო ყირიმი, დღეს უტევს ლუგანსკს, დონეცკს და ბომბავს კიევს. ხვდებით, რასთან გვაქვს საქმე?! მათ მიმართ ნდობა არის ნული!

ეს კარგად ესმის უკრაინასაც. ძალიან კარგი პაკეტი დადო მან, როდესაც ყირიმის თემაც ჩადო განხილვის პროცესში. მე დარწმუნებული ვიყავი და პესკოვმაც გააკეთა განცხადება, რომ ამაზე არ დათანხმდებოდა რუსეთი. დღეს რუსეთი ცდილობს შექმნას გადამწვარი ბუფერული ზონა დონეცკთან და ლუგანსკთან. ამას ცდილობდა ის 2008-შიც.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– 2008-ში მე, როგორც კომისიის თავმჯდომარეს, მქონდა წვდომა ამ საკითხებთან და შემდგომ ლუკაშენკომაც მითხრა, ბელარუსის პრეზიდენტმა, პირად საუბარში, რომ რუსებმა მოსთხოვეს ბაღაფშს, ზუგდიდი დაებომბა, საერთოდ გაეწმინდა, ხრიოკად ექცია. რუსები დაბომბავდნენ, მაგრამ უნდა ყოფილიყო თქმული, რომ აფხაზებმა დაბომბეს. ქალაქ ზუგდიდის განადგურება უნდოდათ სწორედ ისე, როგორც მარიუპოლი გაანადგურეს და ცაისში იქნებოდა ბლოკპოსტი. თუმცა ბაღაფშმა უარი

„მივმართავ საქართველოს მთავრობას, რაც შეიძლება სწრაფად იმოქმედონ! ბიბილოვი უნდა გამოცხადდეს ძებნილად!“

თქვა ამ ბრძანების შესრულებაზე, მე ქართველებს არ დავბომბავო. რუსეთს ტაქტიკა არ შეუცვლია, რასაც ჩვენთან აკეთებდა, იმავეს აკეთებს უკრაინაში.

დღეს რუსეთის ტაქტიკა არის ამ ტერიტორიის მთლიანად გადაწვა, რომ შექმნას ბუფერული ზონა ლუგანსკთან და დონეცკთან. ეს ღიად ჩანს. ამას უკრაინაც ხვდება. ამ მოლაპარაკებების პროცესის პირობებში რუსეთი შეეცდება გადაჯგუფებას, ხოლო უკრაინა შეეცდება, რომ კარგად მოემზადოს. ჯერჯერობით ეს სურათი იკვეთება. რუსეთი შეეცდება, მაქსიმალურად გაწელოს დრო და რაც შეიძლება მეტი ტერიტორია მიითვისოს.

– ანუ დღეს ამ გეგმით მუშაობს რუსეთი და ეს მოლაპარაკებებიც ამ გეგმის ნაწილია?

– ამ დრომდე რუსეთს ჩაუფლავდა აბსოლუტურად ყველა გეგმა. პუტინს ეგონა, რომ რუსულენოვანი მოსახლეობა გვერდში დაუდგებოდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. იმიტომაა ასე გამწარებული ხარკოვსა და მარიუპოლზე. არ გადავიდა ეს ხალხი მის მხარეს. ეს ვერ გათვალეს. ახლა ცდილობენ, რომ დრო მოიგონ და გადაითამაშონ. ასე ვუყურებ მე ამ პროცესს.

– დასავლეთის როლი როგორი იქნება ამ ყველაფერში, რამდენად გაგრძელდება რუსეთზე ზეწოლა?

– დასავლეთმა არც კი გაისროლა და ისე რა უქნა რუსეთს. კი, უკრაინელები ომობენ და დასავლეთი ეხმარება იარაღით, მაგრამ თვითონ დასავლეთს რუსეთთან სამხედრო მოქმედებები არ დაუწყია. უკრაინის ჯარმა და მოსახლეობამ რა უქნა რუსულ ჯარს და, დასავლეთი რომ ჩაერთოს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება.

დასავლეთის ძალიან სერიოზული მხარდაჭერა ექნება უკრაინას. ეს უკვე ღიად ჩანს. ზელენსკი მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამს, მაგრამ არც ასეა საქმე, ძალიან დიდი რაოდენობის იარაღი შედის და ძალიან სერიოზული მოქმედებებია. რის ფასად დაუჯდა დონეცკი და ლუგანსკი რუსეთს?! გამორბიან მათი მოქალაქეები რუსეთიდან, აქ ჩამოდიან და დამტვრეული ინგლისურით ლაპარაკობენ, რცხვენიათ რუსულ ენაზე საუბრის. ეს ჩვენთან და ევროპაში უარესი სიტუაციაა. იქ დიდი სირცხვილია რუსულ ენაზე საუბარი. აი, ამ დონემდე მიიყვანა პუტინმა ყველაფერი. სრული კრახი აქვს.

– ცხადია, დროში გაიწელება ეს ყველაფერი, მაგრამ, რა მოლოდინი გაქვთ, რით დასრულდება?

– თავიდან ბოლომდე გეთანხმებით, რა თქმა უნდა, დროში გაიწელება, მაგრამ საბოლოოდ რუსეთისთვის ეს იქნება ძალიან დიდი კრახი, თუმცა, რის ფასად დაუჯდება ეს ყველაფერი უკრაინას, ძალიან მძიმე თემაა. ჯერ მარტო ამდენი უდანაშაულო ბავშვის სიკვდილი... ძალიან მძიმე ვითარებაა, ძალიან!

– ბატონო პაატა, ამ ფონზე რა გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა?

– ძალიან მძიმე გამოწვევების წინაშე ვდგავართ. არ მინდა, დავზაფრო ჩვენი მოსახლეობა, მაგრამ საკმაოდ მძიმე სიტუაციაა და გეტყვით, რატომ. წითელი ხაზი უკვე გაავლეს პუტინმა და ლავროვმა, როდესაც ომის დაწყების წინ საქართველო და უკრაინა ახსენეს, თქვეს ღიად, რომ წითელი ხაზია ჩვენთვის ნატო ამ ქვეყნებში. დღეს უკრაინა ნეიტრალიტეტზე საუბრობს, მაგრამ ეს ის ნეიტრალიტეტი არ არის, რაზეც ჩვენთან საუბრობენ. ნეიტრალიტეტის შემთხვევაში, თუ უკრაინას რუსეთი დაესხა თავს, მაშინვე ნატოს წევრი ქვეყნები ჩაერთვებიან ამ კონფლიქტში. ფაქტობრივად, ეს არ არის ნეიტრალიტეტი, ძალიან სერიოზული გარანტიაა ქვეყნის უსაფრთხოების.

– ჩვენთან დაკავშირებით რა ხდება ამ მხრივ?

– როგორც კი უკრაინაში რაღაცას მიაღწევს რუსეთი, შემდეგ აუცილებლად ჩვენ მოგვადგება. ბევრს ჰგონია, რომ რუსეთი საქართველოსთვის ვერ მოიცლის. მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მწარედ ცდება, თუ ვინმე ასე ფიქრობს. მთავარი მესიჯი, რომელიც ჩვენ რუსებს უნდა გავუგზავნოთ და რაშიც მწარედ შეცდნენ უკრაინაში, არის შემდეგი: რუსებს ჰგონიათ, რომ დღეს საქართველოში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც მათ მხარს დაუჭერენ და საზოგადოებაც გაიყოფა.

ჩვენ რუსეთში უნდა გავაგზავნოთ მესიჯი, რომ შიგნით რაც არ უნდა პოლიტიკური უთანხმოება გვქონდეს, ჩვენ ყველა ერთიანი ვიქნებით ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით! ყველა დავდგებით ერთად! თუ ასე მოვიქცევით და მართლაც ერთიანები ვიქნებით, მაშინ რუსები ვერ გაბედავენ ვერაფერს. თუ ნახეს, რომ ვართ დაქსაქსულები, რა თქმა უნდა, გაგვიბედავენ. ეს ერთიანობის ტვირთი, რომელზეც მე ვსაუბრობ, აკისრია ხელისუფლებას. ის არის ხელისუფალი და მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები. ჯერჯერობით კი მსგავსსაც ვერაფერს ვხედავ ჩვენი ხელისუფლებისგან.

სიტუაცია ძალიან სახიფათოა. რუსულ მედიაში უკვე დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ ლარსი ძალიან პატარა გზაა და ტვირთების გამტარიანობაც პატარაა. ამიტომ ჩვენ უნდა დავიწყოთ ფიქრი რკინიგზის გახსნაზე. აი, უკვე ასეთ მესიჯებს გვიგზავნიან. ხვდებით, რაზეა საუბარი?! თურქეთი-საქართველო-აფხაზეთი-რუსეთი. ამას ძალიან მალე მოგვთხოვენ.

– ეს ყველაფერი რამდენად სახიფათოა?

– ძალიან სახიფათოა, ძალიან! ამიტომ ვამბობ, რომ საქართველოს ხელისუფლებას აქვს ყველანაირი ვალდებულება ქართველი ხალხის წინაშე, დროა, გააჩეროს ეს დაპირისპირების პოლიტიკა, შეიქმნას რაღაც საბჭო, სადაც შევლენ პოლიტიკური ძალები. ამ ვალდებულებას „ქართული ოცნება“ მარტო ვერ აიღებს საკუთარ თავზე, ამ საკითხებს მარტო ვერ გადაწყვეტს. ეს კონსულტაციის გზით უნდა მოხდეს და ღიად უნდა დაიდოს მაგიდაზე, რა გეგმა აქვთ. ეს იქნება მკაფიო მესიჯი რუსეთისთვის, ჩვენ შეიძლება შიდა დაპირისპირებები გვაქვს, მაგრამ ამ საკითხში ვართ ერთიანი, როცა საქმე ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება. ეს თუ არ გაკეთდა, ძალიან მძიმე პროგნოზები მაქვს ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით.

– რომ არ უჩანს პირი ამ ერთიანობას? დღითი დღე ღრმავდება ეს ყველაფერი.

– უკრაინაშიც არ უჩანდა, მაგრამ, ხომ ვხედავთ, როგორი ერთიანები არიან დღეს. რასაც დღეს უკრაინა გადის, ეს ჩვენ უკვე გამოვიარეთ 1993 წლიდან მოყოლებული. ხომ შეიძლება, საკუთარ შეცდომებსა და ჩვენს განვლილ ისტორიაზე ვისწავლოთ რამე.

– ბატონო პაატა, რას იტყვით ანატოლი ბიბილოვის განცხადებაზე? ძალიან მალე ჩვენ შევუერთდებით რუსეთს და ჩვენი ისტორიული სამშობლოს ნაწილი გავხდებითო. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

– ეს მოსალოდნელი იყო და მე არაერთხელ გამიფრთხილებია ჩვენი ხელისუფლება, რომ მსგავსი ნაბიჯები იქნებოდა. ეს კეთდება იმიტომ, რომ უკრაინაში განიცადა კრახი რუსეთმა. მათ სჭირდებათ ახლა გამარჯვების დაფიქსირება.

ცხინვალის რეგიონში სრული მზადყოფნა აქვთ, რადგან სრულიად აკონტროლებენ ვითარებას. ჯერ დაიწყეს ე.წ. ორმაგი მოქალაქეობით და მერე – მიერთებით. ყველა საფეხური გავლილი აქვთ, გარდა რეფერენდუმისა, რაც მოხდა ყირიმში. ეს რეფერენდუმი არის ტექნიკური საკითხი. მე პირდაპირ ვიტყვი, რომ არ გაჩერდება რუსეთი და, რა თქმა უნდა, ანექსიის განხორციელებას დაიწყებს. ახლა მე მივმართავ საქართველოს მთავრობას, რომ რაც შეიძლება სწრაფად იმოქმედონ!

– რა უნდა გაკეთდეს ამ სიტუაციაში?

– პირველ რიგში, ბიბილოვის სანქცირებაა აუცილებელი! იმიტომ, რომ ბიბილოვი არღვევს კონსტიტუციურ წყობას და ახდენს ანექსიას. ბიბილოვი უნდა გამოცხადდეს ძებნილად. უნდა მივმართოთ ჰააგის პროკურატურას, რომ არ არის ანექსია და ჰააგაშიც დადასტურდება ეს ყველაფერი, როგორც მტკიცებულება. ჩვენ ამ მიმართებით ძალიან მყარი დოკუმენტები გვჭირდება.

რუსეთში, როცა იქნება, ხომ შეიცვლება ხელისუფლება და ჩვენ უნდა გვქონდეს მყარი დოკუმენტი. ამ ფონზე ყველაზე საინტერესოა ის განცხადება, რომელიც გაკეთდა აფხაზეთის პარლამენტში, რომ ისინი არ უერთდებიან რუსეთს. მე მივესალმები ამ განცხადებას. ამ ეტაპზე არც საქართველო უნდათ. მათ უნდათ დამოუკიდებლობა. ის, რომ არ უერთდებიან რუსეთს და უწევენ სერიოზულ წინააღმდეგობას, არის სერიოზული ნაბიჯი, რომელსაც მომავალში გამოვიყენებთ მათთან ურთიერთობისას.

რუსთავში რესტორნიდან გამოსულმა ახალგაზრდებმა ერთმანეთში იჩხუბეს

30 მარტს ხმაური იყო რუსთავში, მეგობრობის გამზირზე.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ერთ-ერთი რესტორნიდან გამოსული ახალგაზრდები ერთმანეთს ჯერ სიტყვიერად, შემდეგ კი ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები.

სამართალდამცავების მისამართზე გამოცხადების შემდეგ ადგილიდან რამდენიმე პირი განარიდეს, რის შემდეგაც სიტუაცია განიმუხტა.

ბაღდათში სატვირთო ხევში გადავარდა

30 მარტს ბაღდათში სატვირთო ავტომობილი ხევში გადავარდა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. ავტოსაგზაო შემთხვევა სოფელ ალისმერეთში მოხდა. გარდაცვლილია 2 პირი.

არსებული ინფორმაციით, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზიდან გადავარდა.

ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები და სასწრაფო დახმარების ჯგუფები იყვნენ მობილიზებული.

ირაკლი ღარიბაშვილი დანიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დანიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრ იეპე კოფოდს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-დანიის ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელოვანი საკითხები. საუბარი შეეხო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ ვითარებაზე უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გავლენას.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებასა და უსაფრთხოების გამოწვევებზე. აღინიშნა, რომ დანია საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ძლიერი და მკაფიო მხარდამჭერია.

შეხვედრის ერთ-ერთი განსახილველი თემა იყო საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებული ოფიციალური განაცხადი. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ პროცესში საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების მტკიცე მხარდაჭერის იმედი აქვს. დანიის მხრიდან აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით საქართველოს სრული მხარდაჭერა ექნება.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას დანიის სამეფოს საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ბერტელ ჰორდერი, პოლიტიკური დირექტორი, კრისტინა მარკუს ლასენი, დანიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინასა და საქართველოში ულე ეგბერგ მიკელსენი, მინისტრის მრჩეველი ულე რიუდალ სვენსონი, უფროსი მრჩეველი უილიამ ბო, ხოლო ქართული მხრიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დანიის სამეფოში ნატა მენაბდე ესწრებოდნენ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

ISSN 1987-9385

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„უკრაინელების მხარდაჭერა მთავრობამ ნაციონალებს გადაულოცა“

იაგო ხვიჩია: „რომელიმე მინისტრი მაინც ჩავიდეს კიევში და გაარკვიოს, რა პრეტენზია აქვს ზელენსკის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დეპუტატი იაგო ხვიჩია პასუხობს.

– ბატონო იაგო, უკრაინის პრეზიდენტმა ელჩი გაიწვია საქართველოდან. ბევრი განცხადება გაკეთდა ამასთან დაკავშირებით. ამ ყველაფერს თავისი მიზეზებიც ჰქონდა. რას იტყვით თქვენ?

– უკრაინის პრეზიდენტმა უკრაინის სახელმწიფოს პოზიცია ჩამოაყალიბა შემდეგნაირად, რომ ის ქვეყნები, რომლებიც არც სანქციებს უერთდებიან, არც იარაღს გვაწვდიან და რუსეთთან არც ფინანსურ ოპერაციებს ზღუდავენ, ჩვენ ამ ქვეყნებში ელჩი არ გვჭირდება და ამ ელჩებმა შეიძლება სხვა სამსახური მოძებნონ. ჩვენ ახლა ეს მოგვწონს-არ მოგვწონს, ვიმსახურებდით-არ ვიმსახურებდით, შეიძლება, ამაზე ვიკამათოთ, მაგრამ ეს უკრაინის ოფიციალური პოზიციაა.

– ბევრი განაწყენებული პოზიციაც მოვისმინეთ საზოგადოების მხრიდან, რომ მაქსიმალურს აკეთებს ქართველი ხალხი და ის ამის ღირსი არ იყო. ეს სერიოზულად ხომ არ დაზიანებს ურთიერთობებს?

– ურთიერთობები რომ დაზიანდა, სწორედ ამიტომ გაიხმეს ელჩი. თუ თქვენ გულისხმობთ ურთიერთობებს ქართველ ხალხსა და უკრაინელ ხალხს შორის, დიდი იმედი მაქვს, რომ ურთიერთობის დაზიანებამდე არ მივა ეს ამბავი. ხალხს ერთმანეთთან არაფერი დაგვიშავებია. მთავრობას რისი გაფუჭებაც შეეძლო, გააფუჭა და ჩანს კიდეც ეს ამბავი. ჩვენ შედეგს ვხედავთ ამისას. იმის გარჩევის ნაცვლად, რამდენად სწორად გაითხოვა ზელენსკიმ დროებით ელჩი, შენიშვნები უნდა გაგვეზიარებინა, რომელიც ბრძოლაში მყოფ პრეზიდენტს ჰქონდა. ეს არ მოხდა, რაც იყო „ქართული ოცნების“ შეცდომა.

– ეს იყო „ქართული ოცნების“ შეცდომაო და რა უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას?

– ყველაზე მინიმუმ, უნდა ადგეს პრემიერ-მინისტრი, ჩავიდეს კიევში და იქ გაარკვიოს, რა პრეტენზია აქვთ ბატონ ზელენსკისა და მის ადმინისტრაციას. ეს არის ის, რაც მინიმუმ არის გასაკეთებელი. პრემიერი თუ არ ჩადის, რომელიმე მინისტრი მაინც ხომ უნდა ჩავიდეს ოფიციალურად?! უბრალოდ, კარგი იქნება, თუ ეს უმაღლეს დონეზე მოხდება. ეს არის მინიმუმი და დანარჩენი სამეული თვითონ ჩამოთვალა პრეზიდენტმა ზელენსკიმ, რას ელოდება მეგობრებისგან, რომ ერთ-ერთი მაინც გააკეთონ. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ უკრაინელების მხარდაჭერა, რაღაცნაირად ისე გამოვიდა, რომ საქართველოს მთავრობამ ნაციონალურ მოძრაობას გადაულოცა.

– რას გულისხმობთ?

– თვითონ ამბობდა, ნაციონალური მოძრაობა არის უკრაინის მთავრობაშიო. როდესაც შენ ასე იქცევი, როდესაც შენს ოპონენტს ეძახი ყველაფერს, რის თქმაც ადამიანის ენას შეუძლია და მერე ამბობ, ეს ოპონენტები უკრაინის მთავრობაში არიანო, რა გასაკვირია, რომ ამაზე პასუხს მიიღებ.

– უმეტესობა მაინც ფიქრობს, რომ ამას არ ვიმსახურებდით...

– შესაძლოა, ქართველი ხალხი არ ვიმსახურებდეთ ამას აწმყოში ჩვენი მთავრობის პოზიციის გამო, ჩვენი ისტორიიდან ან იმ ქართველი ხალხის გამო, რომელიც ახლა უკრაინაში იბრძვის... ბევრი სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ, საქართველოს მთავრობის პოზიციას რომ ახსნა არა აქვს, ეს ხომ გასაგებია, გარდა იმისა, რომ გვეშინია. ვიღაცა მიიღებს ამ პოზიციას, ვიღაცა არ მიიღებს. ვინც იბრძვის ახლა და ბრძოლაშია, იმან რომ არ მიიღოს ეს პოზიცია, მე მგონი, არ არის გასაკვირი. ის, რაც მოხდა, იყო „ქართული ოცნების“ შეცდომა. რეზოლუციებს რომ მხარი დაუჭირა ჩვენმა წარმომადგენლობამ, ეს დასაფასებელია და მე ამას ყოველთვის აღვნიშნავ.

– რამდენად არის ამ შეცდომების გამოსწორების შანსი?

– შეცდომების გამოსწორების შანსი, სანამ ცოცხლები ვართ, შეიძლება, სულ არსებობდეს, მაგრამ სურვილი ამ შეცდომების გამოსწორების აქვს იმ ხალხს, ვინც ცოტა ხნის წინ თავად დაუშვა ეს შეცდომები?!

– როგორ შეიძლება, განვითარდეს პროცესები და რამდენად სერიოზული საფრთხის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანაც?

– ჩვენი ქვეყანაც სერიოზული საფრთხის წინაშე დგას არა მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების პოზიციის გამო, არამედ იმის გამო, რომ აგრესიული მეზობელი გვყავს. ჩვენი ხელისუფლება და ზოგადად პოლიტიკური სპექტრი რომ ყოველდღე შეცდომებს უშვებს, ეს, რასაკვირველია, კიდევ უფრო მეტად ზრდის რისკებს.

– ბოლო პერიოდია სულ ისმის მოწოდებები, რომ ახლა საჭიროა პოლიტიკური ძალების ერთიანობა, რადგან საქმე ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება. რა მოლოდინი გაქვთ ამ ერთიანობის, როცა დაპირისპირება სულ უფრო და უფრო მწვავდება? შეძლებენ საერთო ენის გამონახვას?

– მე ვერ ვხედავ, რომ ამის სურვილი ჰქონდეს დღეს ვინმეს. მე ეს მგონია მთავარი პრობლემა და არა ის, რომ ეს ვერ მოხერხდება, ამის სურვილი რომ არსებობდეს. ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ერთმანეთთან ბრძოლით არის დაკავებული ბოლო 9 წელია. მიუხედავად იმისა, რომ სამყაროში ხდება კატაკლიზმები, ჯერ ვერ გაგვიაზრებია, რომ ჩვენც უნდა შევცვალოთ რაღაც. აი, ეს არის პრობლემა.

– ეს არც ოპოზიციას უნდა?

– ცხადია, ოპოზიციასაც თავისი პრობლემები აქვს. დღევანდელი ოპოზიციის დიდი ნაწილი ნახელისუფლარი პარტიაა და მათაც ზუსტად იგივე პრობლემები აქვთ, როგორიც ხელისუფლებაში მყოფ პარტიებს. ისინი არ ლაპარაკობენ სიმართლეს, მას შემდეგ, რაც აღარ არიან ხელისუფლებაში. სიმართლე რომ ილაპარაკო, საკუთარ შეცდომებზე გიწევს საუბარი. ამიტომ არის ეს საყოველთაო ტყუილის ესთეტიკა და სხვისკენ თითის გაშვერის პოლიტიკა. ამ დაუსრულებელ ტყუილს კი საბოლოოდ მიჰყავხარ ამ დაუსრულებელ ლანძღვა-გინებამდე.

– ასევე სერიოზული დაპირისპირებაა პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. რამდენად აზიანებს ეს ქვეყნის იმიჯს?

– პრეზიდენტსა და მთავრობას შორის რაც ხდება, შესაძლოა, ეს არავის არ ახსოვდეს საერთოდ და რაიმე განსაკუთრებული ზიანიც არ მოჰქონდეს, მაგრამ თვითონ დამოკიდებულება, რომ ყველა ერთმანეთს ებრძვის, მთავრობას თავის არჩეულ პრეზიდენტთანაც არ შეუძლია ურთიერთობა, თვითონ ეს ატმოსფერო გვაზიანებს ყველაზე მეტად.

„ბიბილოვს პასუხი ოფიციალურად უნდა გაეცეს“

მურმან დუმბაძე: „შამბამ გაბედული პოზიცია დააფიქსირა“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტმა ბიბილოვმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში იქნება. როგორი უნდა იყოს ამ განცხადებაზე ხელისუფლების პოზიცია?

– ეს არის ანექსია. ყველა ნორმალური ხელისუფლება ძალიან მკაცრი და ადეკვატური უნდა იყოს, მაგრამ მე მსგავსს არაფერს არ ველოდები ამ ხელისუფლებისგან.

ბიბილოვის ეს განცხადება ადასტურებს პირველ რიგში არა ბიბილოვისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის სურვილს, არამედ პუტინის მიზანსა და სურვილს. ეს არის საქართველოს ტერიტორიების პირდაპირ ერთი ერთში ყირიმის მსგავსი ანექსია. სად არის ამ დროს ხელისუფლება?! რა უფრო მნიშვნელოვანი საქმით არის დაკავებული?!

– სხვათა შორის, სერგეი შამბას განსხვავებული პოზიცია აქვს აფხაზეთთან დაკავშირებით. ის ამბობს, რომ მათ სერიოზული ფასი გადაიხადეს დამოუკიდებლობისთვის.

– ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, როდესაც პუტინის სურვილებსა და მიზნებს ეხება საქმე, თუმცა, ეს არის პოზიცია და გაბედული პოზიცია შამბას მხრიდან.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, მე მათ ასეთი გაბედულებაც კი ვერ შევატყვე. არიქა, დავიწყოთ ომიო, ამაზე ხომ არ არის საუბარი. საუბარია ადეკვატურ პოზიციაზე, როდესაც სახელმწიფო ხარ და ხელისუფლება გქვია. თავისუფლება თუ მშვიდობა – ასე რომ გვისვამენ საკითხს, მითხარით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე მშვიდად გააგრძელებენ ცხოვრებას?! ასეთია მათი მშვიდობა?!

– შეიძლება, ბიბილოვს არ პასუხობენ. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ მსგავსი პროვოკაციები იქნება.

– და პროვოკაციაზე როგორია პასუხი?! ბიბილოვი ახლა კრემლის პირით ლაპარაკობს. აუცილებელია, ამ უმსგავსობას ახლავე გაეცეს პასუხი. პასუხი არის საჭირო ოფიციალურ დონეზე, რომ ქართველი ხალხი ამას არ შეეგუება და რომ ეს გამორიცხულია. ომში ჩაბმაზე კი არ არის საუბარი, საუბარია პოზიციაზე. ამაზე ღია პოზიცია უნდა დაფიქსიროს არა მხოლოდ ხელისუფლებამ, არამედ ოპოზიციამაც და ხალხმაც.

– საერთაშორისო პარტნიორებთან, ამერიკასთან, ევროკავშირთან უნდა იყოს თუ არა განხილული კრემლის ეს გზავნილი?

– რა თქმა უნდა! პირველ რიგში ეს სამუშაოებია შესარულებელი. ახლა საჭირო არის არა დისტანცირება ნატოსთან, არამედ მთლიანად უნდა იყოს ჩაბმული მთელი ნატო, განგაშის ზარებს უნდა ვრეკავდეთ. სასწრაფოდ უნდა იყოს კავშირი სახელმწიფო დეპარტამენტთან, ევროკავშირთან, ყველა უნდა შევაზანზაროთ, რომ ჩვენ დაცვა გვჭირდება პუტინის ამ მზაკვრობისგან და ამ დროს რითია ხელისუფლება დაკავებული, რომ უკრაინის ელჩის გაწვევა თურმე ზელენსკის მიერ ნაციონალების ბრალია, რომ ნაციონალებმა მიაღებინეს ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტ ზელენსკის.

კეთილი ინებონ და ახლავე ყველა ჩააყენონ საქმის კურსში. მერე უკვე ძალიან გვიან იქნება. თუ ხელისუფლება ჰყავს ქვეყანას, უნდა იმოქმედონ და ანგარიში ჩააბარონ ხალხს, რა მიმართულებით ჩაატარეს სამუშაოები, რომელ პრეზიდენტს დაუკავშირდნენ, იყო თუ არა ნატოს გენერალურ მდივანთან, სტოლტენბერგთან კომუნიკაცია. ეს ყველაფერი გასაკეთებელია სასწრაფოდ.

ქართველ ხალხს, ამ ქვეყნის მოქალაქეებს ნატოსთან მიმართებით თავიანთი პოზიცია უკვე დაფიქსირებული აქვთ. რას აკეთებენ ამ მიმართულებით, რომ წინ წავიწიოთ.

– ბატონო მურმან, ნატოს ალტერნატივად ამერიკის ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებას უშვებთ?

– ჩემთვის, „ნატო“ – ამ სახელწოდებას კი არ აქვს მნიშვნელობა, მნიშვნელობა აქვს დაცვის მექანიზმს. რუსეთის აგრესიისგან რა დაგვიცავს, ამერიკული ბაზები, ბრიტანული შეიარაღება თუ პოლონური, ამას აქვს მნიშვნელობა და არა დასახელებას, რაოდენ მომხიბვლელადაც არ უნდა ჟღერდეს. მთავარია უსაფრთხოების გარანტიები, რომელიც მხოლოდ დასავლეთს შეუძლია მოგვცეს, სხვას არავის. ნატოს სამხედრო ბლოკშია საბოლოო ჯამში საქართველოს ადგილი და ევროკავშირში, მაგრამ მანამდე ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ქვეყანა დავიცვათ. ეს უნდა იყოს მიზანი.

კახა ყრუაშვილი: „ტკბილი ქვეყნის“ ფასები 13–14%-ით გაიზარდა“

რუსეთიდან გაძნელებული ლოგისტიკა, უკრაინაში არსებული ვითარება და მსოფლიო ბაზარზე პროდუქციასა და ნედლეულზე გაზრდილი ფასები უკვე აისახა ქართულ საკონდიტრო ბაზარზე.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საკონდიტრო კომპანიის, „ტკბილი ქვეყნის“, კომერციულმა დირექტორმა განუცხადა.

კახა ყრუაშვილის თქმით, ფასები უკვე გაზრდილია 13-14%-ით.

– პროდუქციაზე, რომელსაც რუსეთიდან ვიღებდით, ლოგისტიკური პრობლემა შეიქმნა და დღემდე რჩება. საუბარია ლარსით გადმოტანაზე, რამაც გაზარდა გადაზიდვის ფასი. გაძვირებულია თავად ღირებულების ნაწილიც და შედეგად ჩვენი პროდუქციის ფასი უკვე გაიზარდა 13-14%-ით.

არის ინგრედიენტების ნაწილი, რომელსაც ევროპიდან ვიღებდით და ვიღებთ, მაგრამ გადმოზიდვა აქაც პრობლემა გახდა, რადგან თურქეთმა ჭარბი ტვირთების გამო ვერ შეძლო, დროულად გამოეშვა საქონელი.

რაც შეეხება უკრაინას, პროდუქციიდან მხოლოდ შესაფუთ მასალებს ვიღებდით. მაგალითად, პასკის ყუთებს, რომელსაც გასაგებია, რომ წელს ვეღარ შემოვიტანთ და, შესაბამისად, იმ ნაშთით მოგვიწევს მუშაობა, რაც გასული წლიდან დაგვრჩა. უკრაინა ფაქტობრივად, მოაკლდა ქართულ ბაზარს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ომის დასრულების შემდეგაც აღდგენის პროცესს დიდი დრო დასჭირდება.

რაც შეეხება სხვა ბაზრებზე გადასვლას, აქ მთავარი პრობლემა ფასია. როგორც თვითღირებულების, ასევე ლოგისტიკის ნაწილშიც. იგივე, ყუთები რომ საქართველოში შევიძინოთ, აქ ფასი და ხარისხის პრობლემაა. ამიტომ, ბიზნესს დრო დასჭირდება სრულად გადაწყობისთვის, – განაცხადა „ტკბილი ქვეყნის“ კომერციულმა დირექტორმა „ბიზნესპრესნიუსთან“.

ინფორმაციისთვის, „ტკბილი ქვეყანა“ 120 დასახელებამდე სხვადასხვა სახის საკონდიტრო პროდუქციას აწარმოებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი უნგრეთის ელჩს საქართველოში ანა მარია შიკოს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ანა მარია შიკოს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მთავრობის მეთაურმა უნგრელ დიპლომატს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და უნგრეთს შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად განვითარების პერსპექტივები. განსაკუთრებულად აღინიშნა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ტურიზმი, ტრანსპორტის სფერო და განათლება.

უნგრეთის მხარემ კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაადასტურა ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, აგრეთვე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მიმართ. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ევროკავშირში გაწევრიანებაზე საქართველოს მიერ წარდგენილი განაცხადის განხილვის პროცესში ქვეყანას საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის, უნგრეთის მტკიცე მხარდაჭერის იმედი აქვს.

ამასთან, პრემიერის თქმით, საქართველო აფასებს უნგრეთის უმნიშვნელოვანეს წვლილს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში.

„ნაცმოძრაობას საქართველო საერთოდ აღარ აინტერესებს“

მირიან მირიანაშვილი: „სანამ რუსეთი საგრძნობლად არ დასუსტებულა, მასთან ურთიერთობა არ უნდა დავძაბოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკურ ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს მირიან მირიანაშვილს.

– საქართველოში უკრაინის ელჩის საკითხმა კიდევ ერთხელ წამოიწია. უკრაინის პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ იწვევს ელჩებს მაროკოდან და საქართველოდან. რის მომასწავებელია ეს?

– ინფორმაცია ამის შესახებ მანამდე შევიტყვე, ვიდრე ამაზე უკრაინის პრეზიდენტი საჯაროდ იტყოდა. როგორც მითხრეს, კიევი უკმაყოფილოა ამ დიპლომატის საქმიანობით. გამოწვევა კი არა, შეცვლა ხდება. საქართველოში დანიშნავენ სხვა ელჩს. ჩემი დაკვირვებით, ხდება ამ ინფორმაციის გასკანდალურება. ვიღაც-ვიღაცები მიზანმიმართულად აგორებენ სკანდალს იმ მიზნით, რომ საქართველოსა და უკრაინას შორის შავმა კატამ გაირბინოს. როგორც გითხარით, ხდება ერთი ელჩის მეორით ჩანაცვლება.

– სტამბოლის დიალოგზე რას იტყვით? უკრაინასა და რუსეთს შორის რაიმე არსებითი შეთანხმება ხდება?

– ამ თემაზე მოვიშველიებ უკრაინაში ამერიკული წარმომადგენლობის ანალიტიკოსების შეფასებებს. უკრაინის პრობლემატიკაზე მომუშავე ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, მოლაპარაკებები სურს უკრაინის პრეზიდენტს, რუსეთის ამოცანა კი ოპერატიული პაუზის აღებაა. კრემლი ამ მოლაპარაკებებს პაუზისთვის იყენებს. ზელენსკისთვის აღმოსავლეთ უკრაინაზე იერიშები და მისი დაბომბვა განსაკუთრებით მტკივნეულია. ზელენსკიმ ქვეყნის ამ ნაწილში არჩევნებზე მიიღო ამომრჩევლების ხმების 80-დან 90%-მდე. იგი წინასაარჩევნოდ ამ მოსახლეობას მშვიდობას ჰპირდებოდა. მისთვის ცეცხლის შეწყვეტა პრიორიტეტულია. რუსეთს აწყობს ოპერატიული პაუზა. მოსკოვი არ აპირებს შეთანხმებასა და კომპრომისებს.

– კიევის აღების გეგმა ისევ აქვთ რუსებს?

– ეს რთული სათქმელია. რუსეთის განცხადებები ამ საკითხზე ყურადღებას არ იმსახურებს. ამიტომ, ვერ ვიტყვით, აქვს ისევ კიევის აღების გეგმა რუსეთს თუ არა. რუსეთის ჯარი იაქტიურებს დონბასში. ორი-სამი კვირის შემდეგ გამოჩნდება, კიდევ რას აპირებენ რუსები. რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებები, დეკლარაციები დასაჯერებელი არ არის. უკრაინაში შეჭრის წინა საღამოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინაში შეჭრას არ აპირებს. რუსეთის დაპირებები და დეკლარაციები ჩემმა მტერმა დაიჯერა.

– ცხინვალის საოკუპაციო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, წლებია, გამოთქვამენ რუსეთში შესვლის სურვილს. ბიბილოვის უკანასკნელი განცხადებები ამ თემაზე რატომღაც უფრო მეტად აიტაცეს რუსეთში. ეს ხდება იმ ფონზე, როცა ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკები იმავეს აცხადებენ. რუსეთს რაიმე გეგმა აქვს?

– თუ ცხინვალში ამ საკითხზე რეფერენდუმს მოაწყობენ, დამტკიცდება, რომ ეს განცხადებები კეთდება რუსეთის დავალებით და რაღაც მზადდება. სხვა შემთხვევაში, ეს იქნება ბიბილოვის აქტიურობა მოსკოვთან შეთანხმებით. შესაძლოა, ეს კრემლს სჭირდებოდეს თბილისის შანტაჟისთვის, იმისთვის, რომ კორექტულები ვიყოთ.

– საქართველო ისედაც ფრთხილი და კორექტულია. თბილისის ახლანდელი პოზიცია ფასდება ფაქტობრივ ნეიტრალიტეტად.

– პროცესები დინამიკურად ვითარდება და მოსკოვში, ალბათ, თავს იზღვევენ. ყარაბაღში აზერბაიჯანი შეეცადა რუსეთის სამხედრო შესუსტებას.

– აზერბაიჯანმა აიღო სიმაღლე რუსი ე.წ. სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ეს გაქვთ მხედველობაში?

– დიახ. აზერბაიჯანელები იქ ჯერ შევიდნენ, შემდეგ – გამოვიდნენ. რუსებს ეშინიათ, რომ ამგვარი ნაბიჯი საქართველომაც არ გადადგას ოკუპირებულ რეგიონებში.

– ნაცმოძრაობის წევრები აცხადებენ, რომ სააკაშვილი სჭირდება უკრაინას. მათი თქმით, სააკაშვილს აქვს წონა და ის დასავლეთში მოითხოვს ყველაფერს, რაც ესაჭიროება უკრაინას.

– ეს არის სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის უსაზღვრო ფანტაზიები. დასავლეთს სააკაშვილის მიმართ ცივი დამოკიდებულება აქვს. მას უნდობლად უყურებენ. ამ დამოკიდებულებაში რამე რომ შეცვლილიყო, გავიგებდი. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის ნაცმოძრაობის ფანტაზიები და ნატვრა. როცა რამეს ამბობენ, დაასახელონ ოფიციალური წყარო!

– ნაცმოძრაობა ასახელებს პოლონეთის პრემიერ მორავეცკის პოზიციას.

– ვინმეს რომ დერეფანში სიგარეტის მოწევის ან ყავის დალევის დროს სააკაშვილზე დაელაპარაკებიან და ის თანაგრძნობას გამოხატავს, ეს ოფიციალური პოზიცია არ არის. რომელმა ოფიციალურმა პირმა განაცხადა საჯაროდ, რომ სააკაშვილი უკრაინას სჭირდება, გაასაჯაროონ! ნაცმოძრაობა თავისას არ იშლის. ნაცმოძრაობაში ვერ მიმხვდარან, რომ დასავლეთს სააკაშვილი არსად არ სჭირდება, მათ შორის, არც უკრაინაში. ის დასავლეთთან ვერავის ვერაფერს მოუგვარებს. ასეთი განცხადებები ჭორაობაა ნაცმოძრაობის მხრიდან და მეტი არაფერი.

– რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე აღნიშნეთ, რომ „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა ერთგულობენ თავიანთ როლებს. თქვენი სიტყვებით, ერთის ყალბი ამპლუა ზომიერი პროდასავლელობაა, მეორის – რადიკალური პროდასავლელობა. ახლა რა შეიცვალა?

– როლებში არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, დღევანდელ სიტუაციაში ხელისუფლება უფრო ადეკვატურად და გონივრულად იქცევა, ვიდრე მთავარ ოპოზიციად წოდებული ნაცმოძრაობა. საქართველო საერთოდ გაქრა ნაცმოძრაობის ინტერესების სფეროდან. სააკაშვილის პოლიტიკური დასაქმებაა ნაცების ამოცანა. რუსეთი ჩვენი პრობლემების პირველწყაროა, მაგრამ ჯერ რუსეთი უნდა დასუსტდეს.

– ამ სიტუაციაში ხელისუფლების სიფრთხილე სწორია?

– სანამ რუსეთი საგრძნობლად არ დასუსტებულა, ჩვენ მასთან ურთიერთობა არ უნდა დავძაბოთ. რუსეთს უდგას უსერიოზულესი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური გამოწვევები. მას ემუქრება იზოლაცია. ჩრდილოელი მეზობლის პრობლემები გეომეტრიული პროგრესიით იმატებს. ჩვენ ფრონტის ხაზზე ვართ. ჯერ საქართველოს პრობლემების აქტუალიზაციის დრო არ დამდგარა. ამ პოზიციისთვის საქართველოს ხელისუფლებას არ ვაკრიტიკებ. მასთან სხვა პრეტენზია მაქვს – რატომ არ ვაძლიერებთ ჩვენს სამხედრო შესაძლებლობებს?!

– საქართველომ თავდაცვის სფერო უნდა გააძლიეროს?

– რასაკვირველია. ჩვენ შევდივართ სამხედრო გამოწვევების ეპოქაში. ხელისუფლებისა და ოპოზიციის ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ქვეყნის სამხედრო გაძლიერებისაკენ. ამ საკითხზე მოგაწვდით ერთ ძალიან საყურადღებო ინფორმაციას: აშშ აპირებს, საქართველოს შესთავაზოს სამხედრო პოტენციალის გაძლიერების პროექტები. ამაზე ჯერ მუშაობა მიმდინარეობს.

– ამის გამო ბევრს იხმაურებენ ნეიტრალიტეტის მომხრეები.

– ნეიტრალიტეტი (რომელი მოდელისაც არ უნდა იყოს) ნიშნავს საქართველოს დაუცველობას რუსეთის წინაშე. ჩვენ დაუცველობა და კაპიტულაცია კი არა, დაცვა გვჭირდება.

ირაკლი ღარიბაშვილმა ზვიად გამსახურდიას ხსოვნას პატივი მიაგო

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხსოვნას პატივი მიაგო.

ირაკლი ღარიბაშვილი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში იმყოფებოდა, სადაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავი ყვავილებით შეამკო.

საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას 31 მარტს 83 წელი შეუსრულდებოდა.

შამბა: „აფხაზეთის რუსეთში შესვლა არც განიხილება“

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანმა, სერგეი შამბამ რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე ე.წ. რეფერენდუმის ჩატარება გამორიცხა.

– აფხაზეთს არ აქვს შეკითხვა რუსეთთან შეერთების საკითხზე. ჩვენ პატივს ვცემთ სამხრეთ ოსეთის არჩევანს, მაგრამ ჩვენ გვაქვს სრულიად განსხვავებული მოცემულობა. ჩვენ არ გვყავს ისეთი პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები, რომლებიც რუსეთის ფედერაციასთან მიერთების საკითხს დააყენებენ. ჩვენი კონსტიტუცია ამის საშუალებას არ იძლევა საკანონმდებლო გზით, – განაცხადა შამბამ.

უარის შემდეგ კრემლმა ახალი გეგმა აამოქმედა და საინფორმაციო პროპაგანდა გააძლიერა. კრემლის მთავარი პროპაგანდისტი მარგარიტა სიმონიანი სოხუმში საგანგებო მისიით ჩავიდა.

სიმონიანი შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. მათ საგანგებოდ გახსნეს ე.წ. საგანგებო დანაყოფი, პრესცენტრი.

ბექა დავითულიანი ბიბილოვის განცხადებაზე: „კიდევ ბევრ პროვოკაციას უნდა ველოდოთ“

– როგორც ჩანს, პროვოკაციები საქართველოს მიმართ გააქტიურდება და ჩვენ, სამწუხაროდ, კიდევ ბევრ პროვოკაციას უნდა ველოდოთ.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ბექა დავითულიანმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტის, ანატოლი ბიბილოვის განცხადებას გამოეხმაურა.

როგორც მან აღნიშნა, ახლა ბიბილოვის ამ განცხადებაზე რუსეთის რეაქცია იქნება საქართველოსთვის ერთგვარი მესიჯი. მისივე თქმით, ამაზე საქართველომ რეაგირება საერთაშორისო ბერკეტებით უნდა მოახდინოს.

– ეს არ არის პირველი განცხადება ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების მხრიდან რუსეთთან მიერთებასთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა დაველოდოთ ასევე, რა რეაქცია ექნება რუსეთს ამაზე, ეს ისედაც არის მესიჯი და რუსეთის პოზიცია იქნება დამატებით მესიჯი საქართველოს მიმართ.

ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ყველა ჩვენს ხელთ არსებული რესურსით, ამავდროულად, გავითვალისწინოთ უსაფრთხოების მაღალი რისკები და ვიმოქმედოთ მაქსიმალურად ფრთხილად, რომ ქვეყანა ამ მძიმე ვითარებიდან, რაც რეგიონშია შექმნილი, გამოვიყვანოთ მოგებული და არა კიდევ უფრო დაზიანებული. ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ და, იმედი გვაქვს, ამის შესაძლებლობებს რეგიონში შექმნილი პოლიტიკური კონტექსტი მოგვცემს.

თავისთავად, ბიბილოვის მხრიდან გაკეთებული განცხადება უკანონოა, არავითარ სამართლებრივ საფუძველს არ შეიცავს, ეს არის ოკუპირებული ტერიტორია, ეს არის სეპარატისტული რეჟიმი, არავითარი კანონიერი საფუძველი და რაიმე რეალური პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლიათ.

რუსეთის რეაქციაც ამ ნაბიჯზე იქნება მესიჯი ჩვენ მიმართ, აუცილებლად ბიბილოვის განცხადებასაც და რუსეთის ამ რეაქციასაც მოჰყვება საპასუხო რეაქცია ჩვენი მხრიდან იმ შესაძლებლობებით რაც დღეს საქართველოს გააჩნია. საქართველოს დღეს აქვს შესაძლებლობა, რეაგირება მოახდინოს საერთაშორისო ბერკეტებით მსგავს ნაბიჯებზე, – განაცხადა დავითულიანმა.

ცნობისათვის, ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტმა, ანატოლი ბიბილოვმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის ე.წ. რესპუბლიკა ისტორიული სამშობლოს, რუსეთის შემადგენლობაში იქნება.

ბიბილოვის განცხადება რუსეთის მმართველი პარტიის, „ედინაია რასიას“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. როგორც ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტი აცხადებს, რუსეთის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის გასაერთიანებლად უახლოეს მომავალში „სამართლებრივი ნაბიჯები გადაიდგმება“.

ანა დოლიძე: „ხელისუფლებამ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობისადმი ახალი პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს“

– დღეს სწორედ ის ვითარება გვაქვს, როდესაც ხელისუფლებამ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობასთან მიმართებით ახალი, სამშვიდობო-სახალხო პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს.

ამის შესახებ პარტია „ხალხისთვის“ ლიდერმა ანა დოლიძემ განაცხადა.

მისი თქმით, წლების განმავლობაში ჩვენი ხელისუფლება ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ მხოლოდ ინერციულ განცხადებებს აკეთებდა.

– დეოკუპაციის პოლიტიკა, ფაქტობრივად, მკვდარია. მცოცავი ოკუპაცია და ა.შ. გრძელდება. სწორედ დღეს არის დრო იმისათვის, რომ ხელისუფლებამ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობას აუხსნას, თუ რატომ არის კარგი მათთვის ის, რომ საკუთარი თავი საქართველოს შემადგენლობაში წარმოიდგინონ. პოლიტიკა არის შესაძლებლობის ხელოვნება და დღევანდელი გლობალური სიტუაცია ამ შესაძლებლობას იძლევა.

გასაგებია, რომ ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზების ელიტები და „მმართველი წრეები“ შეთანხმებული არიან რუსეთთან. ისინი ამბობენ და იმ გზავნილებს ახორციელებენ, რომლებიც პუტინის ხელისუფლებას სჭირდება. თუმცა სწორედ ამ შემთხვევაშია აუცილებელი ხალხთან მუშაობა.

სწორედ დღეს არის დრო მოლაპარაკებებისა და ახალი სამშვიდობო-სახალხო პოლიტიკის შეთავაზებისთვის, რომელიც პირდაპირ აფხაზი და ოსი ხალხის მიმართ მიმართული იქნება.

ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენი ხელისუფლება საკუთარი ინიციატივით ამას არ გააკეთებს, ამიტომ ჩვენ უნდა მოვუწოდოთ, რომ წინადადებების ერთობლიობა შეიმუშაონ – ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის, განათლების, უფლებების დაცვის და იმ საკითხებზე, რომლებიც ოსი და აფხაზი ხალხისთვის ნამდვილად აუცილებელია.

ეს ყველაფერი იმ პირობებში მოხდება, როდესაც რუსეთის მომავალი გაურკვეველია, რუსეთის რესურსები უკვე ათვისებულია, ამის პარალელურად კი, მოსახლეობაში უკმაყოფილება დიდია და სავარაუდოდ ის კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

ვფიქრობ, ეს ნაბიჯი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. დღეს არის პიკი ამ შესაძლებლობის გამოყენებისა და ხალხთან სამშვიდობო-სახალხო პოლიტიკის. ეს შესაძლებლობა ჩვენმა სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გამოიყენოს, – აღნიშნა ანა დოლიძემ.

თებერვალში საქართველოს ეკონომიკა 14.6%-ით გაიზარდა

წინასწარი შეფასებით, 2022 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 14.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო იანვარ-თებერვლის საშუალო მაჩვენებელი 16.3 პროცენტია. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს. მისივე ცნობით, 2022 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ დარგებში: დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება, სასტუმროები და რესტორნები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ხელოვნება, გართობა და დასვენება და სამთომოპოვებითი მრეწველობა.

ნარკოდანაშაულისთვის 8 პირი დააკავეს

მათგან 5 რეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, აჭარასა და იმერეთში ნარკოდანაშაულისთვის 8 პირი დააკავეს, მათგან 5 პირი ნარკორეალიზატორია.

ინფორმაციას ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„1988 წელს დაბადებული ს.ნ., 1974 წელს დაბადებული კ.კ., 1973 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ზ.ბ., 1970 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი დ.ტ. და 1975 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.კ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებისთვის არიან დაკავებული.

1988 წელს დაბადებულ მ.გ.-ს, 1979 წელს დაბადებულ ტ.კ.-ს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს, 1960 წელს დაბადებულ ი.ჩ.-ს დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა ედებათ ბრალად.

დანაშაულები 5-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნარკოტიკების რეალიზაციისთვის დაკავებულები ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ყიდდნენ.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალებების – „ჰეროინის“, „სუბოქსინის“, „მეტადონისა“ და „მარიხუანის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიოვიდეოჩაწერა.

ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ნარკორეალიზაციის ბრალდებით დაკავებული ზ.ბ.-ის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს: 24 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ და, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა. ასევე, სამართალდამცველების მიერ სპეციალური სამალავიდან ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“, რომელიც სარეალიზაციოდ იყო გამზადებული.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, გ.კ.-ის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით

ამოიღეს 9 შეკვრად დაფასოებული „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკი.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს ტ.კ., რომელსაც 250 აბი ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“ უკანონოდ, სხეულით შემოჰქონდა.

იმერეთის პოლიციამ უცხო ქვეყნის მოქალაქე ი.ჩ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში დააკავა. სამართალდამცველებმა, მისი პირადი, ავტომობილის და დროებითი საცხოვრებლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბრალდებული მ.გ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოიღეს: 60 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“, 1 კილო და 500 გრამი გამომშრალი „მარიხუანა“ და 160 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ შემცველი ნივთიერება.

ბრალდებულებისგან პოლიციამ ასევე სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება და, სავარაუდოდ, რეალიზაციისგან აღებული ფული, ასევე, მარიხუანის კულტივაციისთვის განკუთვნილი შესაბამისი მოწყობილობა ამოიღო“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 ნაწილებით, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ასევე, 273-ე პრიმა მუხლის მე-8 ნაწილით მიმდინარეობს.

ბერმუდის უზენაესმა სასამართლომ ბიძინა ივანიშვილის სარჩელი სრულად დააკმაყოფილა

ივანიშვილს შეიძლება 500 მილიონი დოლარი მიეკუთვნოს

MKD LAW

ბერმუდის უზენაესმა სასამართლომ შვეიცარიულ საბანკო ჯგუფში შემავალი კომპანიის მიმართ ბიძინა ივანიშვილისა და მასთან დაკავშირებული პირების სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. ინფორმაციას მოსარჩელე მხარე ავრცელებს.

იურიდიული ფირმა „ემ ქეი დის“ პრესრელიზს უცვლელად გთავაზობთ:

„2021 წლის 24 ნოემბრის პრესრელიზით, საზოგადოებას ვაცნობებთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბერმუდის უზენაესი სასამართლო განიხილავდა სამოქალაქო საქმეს, რომელშიც მოსარჩელეს წარმოადგენენ ბიძინა ივანიშვილი და მასთან დაკავშირებული პირები, ხოლო მოპასუხეა „კრედიტ სუისს ლაიფი“, შვეიცარიული საბანკო ჯგუფის, „კრედიტ სუისს“-ის სტრუქტურული ერთეული.

მოსარჩელეთა ინტერესს, უცხოელ კოლეგებთან ერთად, იცავს იურიდიული ფირმა „ემ ქეი დი“, რომელსაც წარმოადგენენ უფროსი პარტნიორი – ვიქტორ ყიფიანი და პარტნიორი – სანდრო სამადბეგიშვილი.

საკითხის მიმართ მედიისა და საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ 2016 წლიდან მიმდინარე სასამართლო დავის მოცემული ეტაპი დასრულდა 2022 წლის 29 მარტს გამოცხადებული გადაწყვეტილებით. დოკუმენტით, რომელიც შეიცავს 300-მდე გვერდის მოცულობის დასაბუთებას, სასამართლომ სრულად დაკმაყოფილა ბიძინა ივანიშვილისა და მასთან დაკავშირებული პირების სარჩელი შვეიცარიულ საბანკო ჯგუფში შემავალი კომპანიის მიმართ. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ:

– მოპასუხე კომპანიას თავისი უფლებამოსილებები დელეგირებული ჰქონდა „კრედიტ სუისს“-სთვის, რომელიც მართავდა კლიენტის მიერ განთავსებულ თანხებს და იღებდა საინვესტიციო გადაწყვეტილებებს;

– ბანკის თანამშრომელი ჩადიოდა სხვადასხვა სახის, მრავალჯერად და განგრძობად თაღლითურ ქმედებებს კლიენტის თანხებთან მიმართებით;

– მოპასუხე და ბანკი არ რეაგირებდნენ ბანკის თანამშრომლის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, რადგან ისინი იღებდნენ დიდძალ შემოსავალს ამგვარი უკანონო მოქმედებების შედეგად;

– ბატონ ივანიშვილს რომ სცოდნოდა მის მიმართ ჩადენილი თაღლითობის შესახებ, იგი თავის თანხებს მაღალი რეპუტაციის მქონე სხვა ევროპულ ბანკში განთავსებდა და შექმნიდა საშუალო რისკის შემცველ საინვესტიციო პორტფელს.

შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა კლიენტის მიმართ სახელშეკრულებო და ფიდუციარულ ვალდებულებათა მძიმე დარღვევას.

სასამართლომ, ასევე, განსაზღვრა დაანგარიშების ის მეთოდოლოგია, რომლითაც უნდა დადგინდეს მოსარჩელის მიერ განცდილი ზიანის ოდენობა.

თავად „კრედიტ სუისს“-ის მიერვე 2022 წლის 24 მარტს გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ამგვარი დაანგარიშების შედეგად განსაზღვრულმა ზიანის ოდენობამ, მოსალოდნელია, გადააჭარბოს 500 მილიონ აშშ დოლარს.

ამდენად, მოსარჩელისთვის სასამართლოს მიერ მიკუთვნებული თანხის ზუსტი ოდენობა დადგინდება ექსპერტთა მიერ, რომლებიც დაანგარიშების პროცესში გამოიყენებენ სასამართლოს მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიას“, – წერია პრესრელიზში.

გახარიას პარტიის წევრს წალენჯიხაში გელა აბულაძეს პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ წალენჯიხის საკრებულოს წევრ გელა აბულაძესა და მერის წარმომადგენელს ანზორ ფიფიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

მათთან ერთად დაკავებულ კიდევ 9 პირს კი გირაოს გადახდა შეეფარდა.

უფრო კონკრეტულად, დაკავებულ ერთ-ერთ პირს, ნუნუ აბულაძეს 2.000 ლარის, ხოლო დანარჩენებს 6.000 ლარის ოდენობით გირაო განესაზღვრათ.

დაცვის მხარის განცხადებით, გელა აბულაძის მიმართ წარდგენილი ბრალდება აბსურდულია და ის ბრალს არ აღიარებს. შესაბამისად, დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ აბულაძის მიმართ არცერთი სახის აღკვეთის ღონისძიება არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

აბუალაძეს თავდებში უდგებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები გახარიას პარტიიდან: ანა ბუჩუკური, შალვა კერესელიძე, მიხეილ დაუშვილი და გიორგი ხოჯევანიშვილი, ასევე წალენჯიხის საკრებულოს წევრები. თუმცა, მოსამართლე ლაშა კლდიაშვილმა არ დაკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და გელა აბულაძეს პატიმრობა შეეფარდა.

პროკურატურის ინფორმაციით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, მერის წარმომადგენელს და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ 9 პირს ბრალდება წარუდგინა.

მისივე ინფორმაციით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გ.ა. დაუკავშირდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს სოფელ ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების მისი ოჯახის წევრებზე, ნათესავებსა და ნდობით აღჭურვილ პირებზე თაღლითური გზით დარეგისტრირებაში დახმარება სთხოვა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ევროპის საბჭოს პროექტის მმართველი კომიტეტის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს (CoE) პროექტის – „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ – მმართველი კომიტეტის პირველ შეხვედრაში.

ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ – ალექსანდრე დარახველიძემ, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილემ – სტეფან სირბუმ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა – კარლო კაციტაძემ, სახალხო დამცველის მოადგილემ – გიორგი ბურჯანაძემ და ევროპის საბჭოს (CoE) პოლიციისა და თავისუფლების აღკვეთის საკითხებზე თანამშრომლობის მე-2 განყოფილების ხელმძღვანელმა – დონჩე ბოშკოვსკიმ გახსნეს.

შეხვედრის მონაწილეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორი უწყებების მიერ პროექტის ფარგლებში, მომავალი 6 თვის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები განიხილეს.

ალექსანდრე დარახველიძემ აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, შინაგან საქმეთა სამინისტროში, ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულების რიგით და მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირებისათვის გადამზადების არაერთი ტრენინგი და სწავლება ჩატარდა. მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა მიმდინარე წელს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების მნიშვნელობას, ასევე შეაჯამა მნიშვნელოვანი აქტივობები და მიღწეული შედეგები.

ალექსანდრე დარახველიძემ ევროპის საბჭოს მადლობა გადაუხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებაში მხარდაჭერისთვის.

ღონისძიების დასასრულს, მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გაგრძელების მზაობა გამოთქვეს.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2021 წლიდან ხორციელდება. პროექტის მიზანია საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანი და ანგარიშვალდებული წესით შესრულების მონიტორინგში, ადამიანის უფლებების სტანდარტების გაძლიერების გზით.

პოლიციამ ზუგდიდში უკანონო იარაღი ამოიღო

დაკავებულია 2 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი: 1978 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი ჯ.ქ. და 1966 წელს დაბადებული ბ.თ. დაკავეს, მათ ბრალად საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და ტარება ედებათ. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული ზუგდიდში დააკავეს. პოლიციამ, მათი პირადი ჩხრეკისას, სხვადასხვა ტიპის 2 ხელყუმბარა ნივთმტკიცებად ამოიღო.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს. დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ავარია ბათუმი-გონიოს გზაზე

გარდაცვლილია მამაკაცი

30 მარტს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ბათუმი-გონიოს დამაკავშირებელ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, სადაც სატვირთო მანქანა და მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახნენ.

შეჯახების შედეგად მსუბუქი ავტომობილის მძღოლი, შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილზე პოლიცია იყო მობილიზებული. მომხდარზე გამოძიება უკვე დაიწყო.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ევროკავშირის სამხედრო შტაბის ხელმძღვანელებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – გიორგი ბუთხუზი ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკისა და კრიზისებზე რეაგირების (CSDP-CR) დირექტორატის ხელმძღვანელს – პაველ ჰერჩინსკის, ევროკავშირის სამხედრო შტაბისა და სამხედრო მისიების ხელმძღვანელს – ერვე ბლეუას, ასევე, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციისა და ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის საკითხებზე არსებული თანამშრომლობა და სამომავლო ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

გიორგი ბუთხუზმა ყურადღება გაამახვილა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ევროკავშირის მონიტორინგის მისიის განსაკუთრებულ როლსა და მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ევროპელ პარტნიორებს მადლობა გადაუხადა განეული მხარდაჭერისთვის და კიდევ ერთხელ გამოხატა ევროკავშირთან უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავების მზადყოფნა.

მარნეულში სასაფლაოს ღობეები მოიპარეს

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეგლიარში სასაფლაოს ღობეები მოხსნეს და მოიპარეს. ადგილზე სამართალდამცავი ორგანოები საგამოძიებო ღონისძიებას ატარებდნენ.

გამოძიება ქურდობის მუხლით არის დაწყებული. საქმეზე ჯერ არავინ დაუკავებიათ.

ადგილობრივები ამბობენ, რომ დილით, როცა საფლავზე გავიდნენ, სასაფლაო ღობეების გარეშე დახვდათ.

მარნეულის სოფლებში 1 თვის განმავლობაში ეს უკვე მეორე შემთხვევაა.

ზელენსკი: „თავისუფლება ტირანიაზე არანაკლებ შეიარაღებული უნდა იყოს“

უკრაინის პრეზიდენტი კრემლის განცხადებებს უნდობლობას უცხადებს და ამბობს, რომ ოკუპანტები ახალი იერიშების მისატანად ემზადებიან.

ვოლოდიმირ ზელენსკი უკრაინისთვის სამხედრო შეიარაღების მიწოდების აუცილებლობაზე ისევ საუბრობს. მისი თქმით, ამას იქამდე გააკეთებს, ვიდრე სამართლიანობა არ იზეიმებს.

– ვხედავთ, რომ ოკუპანტი ჯარების მობილიზებას ახორციელებს დონბასზე ახალი იერიშების მისატანად. ჩვენ ვემზადებით, რადგან არავისი ლამაზი სიტყვების არ გვჯერა. ჩვენ გვაქვს ბრძოლის ველზე არსებული რეალური ვითარება და, ყველაზე მთავარია, ამის შეფასება მოვახდინოთ, არაფერს არ მივცემთ და ჩვენი მიწის თითოეული მეტრისა და თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის ვიბრძოლებთ.

ჩვენ გვაქვს უფლება, რომ ამ გარდამტეხ, ძალიან პრინციპულ დროს დახმარება მოვითხოვოთ. ეს არის თვითმფრინავები, ტანკები, საარტილერიო სისტემა. თავისუფლება ტირანიაზე არანაკლებ შეიარაღებული უნდა იყოს. ამის შესახებ ნორვეგიის პარლამენტშიც ხმამაღლა განვაცხადე.

ესაა ერთ-ერთი ქვეყანა, რომელმაც მოგვისმინა და მყისიერად გამოგვიწოდა დახმარების ხელი როგორც შეიარაღებით, ასევე – რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციების დაწესებით.

ეგვიპტის პრეზიდენტსა და გაერთიანებული ემირატების პრინცს ვესაუბრე. ყველაფერს ვაკეთებ და გავაკეთებ, რომ ჩვენმა ერმა თავი დაიცვას მანამ, სანამ სამართლიანობა არ აღდგება როგორც უკრაინაში, ასევე – შავი ზღვის აკვატორიის მთელ რეგიონში.

ეს არის ჩვენი ფუნდამენტური ინტერესი და ჩვენი გადარჩენის საკითხი. ახლა ზუსტად უკრაინელი ერის გადარჩენისთვის ვიბრძვით, – განაცხადა ზელენსკიმ.

კიევის გარეუბნებში მძიმე ბრძოლებია მოსალოდნელი

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ უკრაინაში მიმდინარე ომის შესახებ უახლესი სადაზვერვო ანგარიში გამოაქვეყნა.

სამინისტროს თქმით, რუსული ძალები ჩერნიგოვის დაბომბვას აგრძელებენ, მიუხედავად დაპირებებისა, რომ ქალაქის ირგვლივ მათი სამხედრო ოპერაციები შემცირდებოდა.

ამის შესახებ ინფორმაციას სკაი ნიუსი ავრცელებს.

დიდი ბრიტანეთის სადაზვერვოს ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც უკრაინაში ომის 36-ე დღე შესრულდა, მიუხედავად ჯარის გარკვეული ნაწილის გაყვანისა, „კრემლის ჯარი კიევის აღმოსავლეთითა და დასავლეთით პოზიციების დაკავებას აგრძელებს“.

მათივე ინფორმაციით, უახლოეს დღეებში კიევის გარეუბნებში მძიმე ბრძოლები გაიმართება.

როგორც სკაი ნიუსი იუწყება, აღნიშნული სადაზვერვო ანგარიში გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც მიმდინარე კვირას სტამბოლში გამართულ მოლაპარაკებებზე რუსეთის მხარემ განაცხადა, რომ კიევთან ახლოს სამხედრო ოპერაციებს შეაჩერებდა.

სლოვაკეთი 35 რუს დიპლომატს აძევებს

სლოვაკეთი 35 რუს დიპლომატს ქვეყნიდან აძევებს.

ინფორმაციას როიტერი სლოვაკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელზე დაყრდნობით ავრცელებს.

„ეს ნაბიჯი არის გარდაუვალი რეაგირება იმაზე, რომ რუსეთის საელჩოს პერსონალი განაგრძობს საქმიანობას, რომელიც ეწინააღმდეგება დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციას, სლოვაკეთის ინტერესებსა და რუსეთის ფედერაციასთან პარტნიორობას“, – ნათქვამია სლოვაკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერ იურაი ტომაგას განცხადებაში.

სლოვაკური მედიის ცნობით, 35 დიპლომატის გაძევებით რუსეთის საელჩოს თანამშრომელთა რაოდენობა დაახლოებით ნახევრდება.

სერგეი ლავროვი თალიბანის ერთ-ერთ ლიდერს ჩინეთში შეხვდა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ავღანეთის ისლამური საამიროს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს, „თალიბანის“ ერთ-ერთ ლიდერს ამირ ხან მუთაკის ჩინეთში შეხვდა.

ინფორმაციას ამის შესახებ ამერიკული ტელეარხი სიენენი რუსეთის საგარეო უწყებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

შეხვედრის სხვა დეტალები ამ ეტაპზე უცნობია.

ცნობისთვის, ჩინეთში ვიზიტად მყოფი სერგეი ლავროვი 30 მარტს ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვან ის შეხვდა.

ტაივანი უკრაინის საომარ ტაქტიკას სწავლობს

ტაივანის თავდაცვის სამინისტრომ სამუშაო ჯგუფი შექმნა უკრაინაში ომის ტაქტიკის შესასწავლად.

აღნიშნულის შესახებ ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა ჩიუ კუო-ჩენგმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, თემები, რომლებსაც ტაივანი მიჰყვება, რუსეთის არაეფექტურ სამხედრო მოქმედებებსა და უკრაინის წინააღმდეგობას მოიცავს.

– ეს არ განიხილება მხოლოდ შეერთებულ შტატებსა და ტაივანს შორის გაცვლით შეხვედრებზე, არამედ განიხილება სხვა ქვეყნებთანაც, რომლებსაც რეგულარული კონტაქტები აქვთ ტაივანთან, – განაცხადა ჩიუ კუო-ჩენგმა.

მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ ტაივანმა მზადყოფნის დონე გაზარდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მუსიკალური ფესტივალი „თბილისი ოპენ ეარი“ ბრუნდება

2-წლიანი პაუზის შემდეგ მუსიკალური ფესტივალი „თბილისი ოპენ ეარი“ ბრუნდება:

– 2-წლიანი პაუზის შემდეგ ამ სიტყვების თქმა ჩვენთვის განსაკუთრებით ამაღელვებელია, მით უმეტეს, მიმდინარე მოვლენების ფონზე, მაგრამ „თბილისი ოპენ ეარი“ ხომ არასდროს ყოფილა მხოლოდ მუსიკალური ფესტივალი.

თავისუფლება – სწორედ ესაა ის უმთავრესი იდეა, რომლის გარშემოც ყოველწლიურად ათეულობით ათასი ადამიანი ვიკრიბებით. სამწუხაროდ, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება დღეს უდიდესი საფრთხის წინაშეა. ამ საფრთხის მიზეზი რუსეთია, ქვეყანა, რომელიც არნახული სისასტიკით ესხმის თავს ჩვენს მოძმე უკრაინასა და მასთან ერთად მთელ ცივილიზებულ სამყაროს.

ჩვენ სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ უკრაინასა და უკრაინელებს – ამ არაჩვეულებრივ, მებრძოლ და მამაც ხალხს.

გვსურს, უკრაინელთა დახმარების უმნიშვნელოვანეს საქმეში ჩვენი მოკრძალებული წვლილიც შევიტანოთ. სწორედ ამიტომ წლევანდელ ფესტივალზე გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხის ნაწილი გადაირიცხება უკრაინის დასახმარებლად შექმნილ ფონდში.

შევქმნით სპეციალურ პროდუქტს უკრაინის თემატიკაზე, საიდანაც შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება იმავე ფონდში.

შევქმნით სპეციალურ პლატფორმას დონაციისთვის, რომლის საშუალებითაც შეძლებთ, გაიღოთ თანხა უკრაინის დასახმარებლად.

დეტალებს ფესტივალის დაანონსებისთანავე გაგაცნობთ.

უკრაინა ამ დიდ ბოროტებასთან ბრძოლაში გაიმარჯვებს. თავისუფლება აუცილებლად იზეიმებს! – ნათქვამია ფესტივალის ორგანიზატორების მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თბილისში, შარტავაზე, მანქანა ტროტუარზე ბავშვს დაეჯახა

გუშინ, 31 მარტს, თბილისში, შარტავას ქუჩაზე, სწრაფად მოსიარულე მანქანა ტროტუარზე მდგომ ბავშვს დაეჯახა.

ფაქტის ამსახველი ფოტო სოციალურ ქსელში გავრცელდა.

არსებული ინფორმაციით, ბავშვის მდგომარეობა მძიმეა. ადგილზე საპატრულო პოლიცია იყო მობილიზებული.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ყატარის მუნდიალის ამბები

2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ყატარი უმასპინძლებს, 1 აპრილს კი დოჰაში ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართება. მართალია, ფინალური ეტაპის ყველა მონაწილე ცნობილი არ არის, რადგან რუსეთ-უკრაინის ომმა რამდენიმე მატჩის გადავადება გამოიწვია. შედეგად, 32-დან მუნდიალის საგზური გაფორმებული მხოლოდ 29 გუნდს აქვს.

ეს 32 ნაკრები 8 ოთხგუნდიან ჯგუფში განაწილდება, რომლებიც მანამდე 4 სხვადასხვა კალათაში რეიტინგის მიხედვით განთესეს. გამონაკლისი მხოლოდ კატარია, რომელიც მასპინძლის სტატუსის გამო პირველ კალათაშია.

პირველი კალათა: კატარი, ბრაზილია, ბელგია, საფრანგეთი, არგენტინა, ინგლისი, ესპანეთი, პორტუგალია;

მეორე კალათა: მექსიკა, ნიდერლანდები, დანია, გერმანია, ურუგვაი, შვეიცარია, აშშ, ხორვატია;

მესამე კალათა: სენეგალი, ირანი, იაპონია, მაროკო, სერბეთი, პოლონეთი, სამხრეთ კორეა, ტუნისი;

მეოთხე კალათა: კამერუნი, კანადა, ეკვადორი, საუდის არაბეთი, განა, პლეი ოფის გამარჯვებული (1), პლეი ოფის გამარჯვებული (2), პლეი ოფის გამარჯვებული (3).

წილისყრაზე გუნდებს კალათების მიხედვით ამოიღებენ: თავიდან პირველი კალათიდან, მერე მეორიდან და ა.შ.

შეზღუდვების მიხედვით, თითო ჯგუფში, თითო კონტინენტიდან თითო გუნდი უნდა იყოს. მაგალითისთვის, ბრაზილიის ნაკრების ჯგუფში ვერ მოხვდება რომელიმე სამხრეთ ამერიკული ნაკრები, ანაც სენეგალი აფრიკულ გუნდთან. თუმცა, ეს შეზღუდვა ევროპულ გუნდებზე არ ვრცელდება, რადგან „ბებერი კონტინენტიდან“ გაცილებით მეტი გუნდია, ვიდრე ჯგუფებია. შედეგად, თითო ჯგუფში უნდა იყოს მინიმუმ ერთი და არაუმეტეს ორი ევროპული გუნდი. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ჩემპიონატის 8 ჯგუფიდან 5-ში ევროპას 2-2 გუნდი ეყოლება.

წინა მუნდიალებისგან განსხვავებით, წილისყრაზე არ გაირკვევა მატჩების ზუსტი დროები და სტადიონები. რადგან ყატარის სტადიონებს შორის მანძილი მცირეა, ფიფამ გადაწყვიტა, რომ ვარირების საშუალება ჰქონოდა.

წილისყრის ცერემონიას 2.000-მდე სტუმარი დაესწრება. საღამოს კარლი ლოიდი, ჯერმეინ ჯენასი და სამანტა ჯონსონი წარუძღვებიან, რომელთაც კაფუ, ლოთარ მათეუსი, ადელ აჰმედ მალალაჰი, ალი დაეი, ბორა მილუტინოვიჩი, ჯეი-ჯეი ოკოჩა, რაბაჰ მაჯერი და ტიმ კეჰილი დაეხმარებიან.

მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარე წლის 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. მატჩების ზუსტი განრიგი და თამაშების დაწყების საათები წილისყრის შემდეგ დადგინდება.

ამასობაში ყატარი 2022-ის აღმასრულებელი შეფი ნასერ ალ ხატერი ინგლისის ნაკრების თავკაცს გარეთ საუთგეიტს გაუნაწყენდა.

საუთგეიტმა ამასწინათ ყატარზე ცუდად ილაპარაკა – ასეთი ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონატს არ უნდა მასპინძლობდესო, საუთგეიტის აზრით, იმიტომ, რომ იქ ემიგრანტ მუშებს ცუდად ეპყრობიან, ირღვევა ადამიანის უფლებები, აკრძალულია ერთსქესიანთა ქორწინება და ქალთა უფლებებიც შეზღუდულია.

საუთგეიტი წუხს, რომ ინგლისელი ქომაგების დიდი ნაწილი საკუთარი გუნდისთვის მხარის დასაჭერად ვერ გაემგზავრება, რადგან ყატარში შეიძლება პრობლემები შეექმნათ.

საუთგეიტი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დელეგაციასთან ერთად დოჰაშია და მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრას დაესწრება. ალ ხატერმა იმედი გამოთქვა, რომ მას ინგლისელთა მწვრთნელთან შეხვედრის და პირისპირ საუბრის შესაძლებლობა მიეცემა.

ალ ხატერი:

– საუთგეიტს შევეკითხები, ინგლისის ნაკრების წევრთაგან ვინ არის ყატარში ნამყოფი. ან თავად საუთგეიტი თუ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში? ასე საჯაროდ პირად მოსაზრებას გამოთქვამს თუ სადღაც წაკითხულს იმეორებს? ეს პრინციპული საკითხია, რადგან წაკითხულს ასე ხმამაღლა არ უნდა იმეორებდე.

როდესაც ისეთი გავლენიანი ადამიანი ხარ, როგორიც არის საუთგეიტი; როდესაც ამხელა აუდიტორია გისმენს, სიტყვები ფრთხილად უნდა შეარჩიო.

ჩემი აზრით, როდესაც მუშებზე აპირებ ლაპარაკს, ჯერ უნდა ჩამოხვიდე, შეხვდე ამ მუშებს და გაიგო, რას იღებს ეს ხალხი აქ გარჯის სანაცვლოდ. იყო ცალკეული უსიამოვნო შემთხვევები, რომლებიც მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ მინდა ინგლისის ნაკრების თავკაცი დავარწმუნო, რომ თუ აქ ჩამოვა და მუშათა უმეტესობას დაელაპარაკება, მოისმენს ისტორიებს იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყვეს აქ აღებული ხელფასით თავიანთი შვილები უნივერსიტეტებში, როგორ ააშენეს სახლები და ასე შემდეგ. ეს ის ისტორიებია, რომელთაც პრესაში არ წერენ.

მოუთმენლად ველი გარეთ საუთგეიტის ჩამოსვლას და მასთან შეხვედრას, რათა ჩემი პოზიცია გავაცნო. ცხადია, ის ვალდებული არ არის დამიჯეროს, მაგრამ განსხვავებულ შეხედულებას უნდა მოუსმინოს, რათა სხვა კულტურის ხალხსაც გაუგოს.

მას დიდ პატივს ვცემ როგორც მწვრთნელს და პიროვნებას. არც სხვა ადამიანთა შეხედულებები მაღიზიანებს, მაგრამ ფაქტია, როდესაც ვიღაცას განსხვავებული შეხედულება აქვს, შენ შენი პოზიცია უნდა გააცნო.

ყატარს მხარს უჭერს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) პრეზიდენტი ჯანი ინფანტინო, რომელმაც განაცხადა, რომ ყატარმა შეძლო ადამიანის უფლებებისა და მშრომელთა უფლებების დაცვის მიმართულებით პროგრესის მიღწევა.

ჯანი ინფანტინო:

– რა თქმა უნდა, ყატარი სამოთხე არ არის. იქ ყველაფერი იდეალურად არ გამოიყურება და კიდევ ბევრია სამუშაო, მაგრამ უნდა დავრჩეთ იქ და ერთად უნდა ვიმუშაოთ. უნდა წავახალისოთ გარდაქმნები, რადგან ყველას არ უნდა სასიკეთო ცვლილებები კატარშიც და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებშიც.

ადამიანის უფლებებისა და მშრომელთა უფლებების მხრივ წინსვლას ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიო-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

პროკურატურამ ქობულეთში ხუთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ქობულეთში მომხდარ ჯგუფური ძალადობის ფაქტზე ხუთ პირს ბრალდება წარუდგინა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2022 წლის 22 მარტს, ქ. ქობულეთში, „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს, ზ.ჩ-მ, გ.გ-მ, ზ.გ-მ, ზ.ფ-მ და ი.ი-მ ჯგუფურად ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს გ.ჯ-ს, გ რ-ს და თ.ქ-ს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები სასამართლოს განჩინების საფუძველზე, 29 მარტს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის მიმართ) წარედგინათ.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

ზურაბ იაკობიშვილი ევროპის ჩემპიონია, პეტრიაშვილი ვერცხლს დასჯერდა

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს დელეგაციამ 6 მედალი მოიპოვა: თითო ოქრო-ვერცხლი და 4 ბრინჯაო.

ჩემპიონი ზურაბ იაკობიშვილი (70კგ) გახდა. ქართველმა ფალავანმა ოქროს მედლისთვის ბრძოლაში სომეხ არმან ანდრეასიანთან 2:1 იმარჯვა. ფინალამდე იაკობაშვილმა შვეიცარიელი მარკ დიეტშე (5:1), ბულგარელი რამაზან რამაზანოვი (12:2) და აზერბაიჯანელი ზირადინ ბაირამოვი (4:3) დაამარცხა.

ოქროს ველოდით გენო პეტრიაშვილისგანაც (125), რომელიც თავიდან ისვენებდა. მეოთხედფინალში კი იტალიელი აბრაჰამ დე ხესუს კონიედო რუანო წმინდად, 11:0 დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში პოლონელ რობერტ ბარანს 2:1 მოუგო.

ფინალი ჩემპიონატის კულმინაცია გამოდგა: პეტრიაშვილისა და მისი უმთავრესი მეტოქის, თურქი ტაჰა აკგულის დაპირისპირება.

ევროპის ჩემპიონატებზე ქართველისა და თურქის გზები აქამდე 5-ჯერ გადაიკვეთა, პირველად 2016 წლის ჩემპიონატის მერვედფინალში, რომელიც გენოს გამარჯვებით დასრულდა. მომდევნო წელს აკგულმა ქართველთან მეოთხედფინალში აიღო რევანში. პეტრიაშვილმა თურქ ფალავანთან შეხვედრები დათმო 2018 და 2019 წლის ფინალებშიც. მათი გზები შარშან მერვედფინალშიც გადაიკვეთა, რომელიც ასევე ქართველის წაგებით დასრულდა.

სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატების 2-გზის და მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონმა, ასევე ოლიმპიური თამაშების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელმა ქართველმა მძიმეწონასანმა ვერც ამჯერად მიაღწია წარმატებას. აკგულმა შეხვედრა 5:2 მოიგო და ევროპის ჩემპიონატების მერვე ოქროს მედალი მოიპოვა.

საქართველოს პირველი ბრინჯაოს მედალი ბექა ბუჯიაშვილმა (57) მოუტანა, რომელმაც მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ბულგარელ საელიმ ნაიმს 11:0 სძლია. გიორგი სულავა (74) ბრინჯაოსთვის სომეხ ჰრაირ ალიხანიანს დაეჭიდა, რომელსაც ლამაზ სტილში აშკარა უპირატესობით, 17:5 მოუგო.

კვარცხლბეკზე ავიდა ვლადიმერ გამყრელიძეც (79), რომელმაც სომხეთის ნაკრების წევრ არმან ავაგიანს 9:7 სძლია. მირიან მაისურაძემა (92) ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში მოლდოველი გიორგი რუბაევი 7:2 დაამარცხა.

1 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედლით საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა 98 ქულა დააგროვა და გუნდური მესამე ადგილი დაიკავა.

ოთარ კიტეიშვილი: „სანიოლი ქართულ მენტალიტეტს სწავლობს“

საქართველოს ნაკრებისა და გრაცის შტურმის ნახევარმცველი ოთარ კიტეიშვილი 26 წლის გახდა. ფეხბურთელს იუბილე ავსტრიულმა გუნდმა ინტერვიუთი მიულოცა.

შეგახსენებთ, რომ კიტეიშვილს ტრავმა ჰქონდა, რის გამოც ბევრი გაუცდა როგორც კლუბში, ისე – ნაკრებში.

– სასიამოვნოა, რომ დაბრუნდით! თავს 100%-ით ფორმაში გრძნობთ თუ ჯერ კიდევ არ ხართ საუკეთესო კონდიციებში?

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მოედანზე დავბრუნდი. სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ შორი გზაა, მაგრამ ბევრს ვმუშაობ იმისთვის, რომ ფორმაში დავბრუნდე.

– როგორი გრძნობა იყო, როცა მოედანზე დაბრუნდით და გულშემატკივარი თბილად შეგხვდათ?

– ჩემთვის ძალიან ემოციური მომენტი იყო. თამაშის შემდეგ წარმოუდგენელი გრძნობა დამეუფლა, გულშემატკივრების სითბოს გამო. ასეთი რაღაც წარმოუდგენლად კარგი შეგრძნებაა და ძალიან მადლიერი ვარ ამისთვის.

– ტრავმის პერიოდი რთულად გადაიტანეთ?

– რა თქმა უნდა, რთული იყო, რადგან გუნდს თითქმის 6 თვე ვერ დავეხმარე. თუმცა, გუნდში და ჩემს გარშემო ყველა ცდილობდა მაქსიმალურად დახმარებას და ამისთვის ძალიან მადლობელი ვარ. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ახლა ისევ შემიძლია თამაში.

– მომდევნო მატჩი ვოლფსბერგერთან გაქვთ. რამდენად შეიძლება, იყოს კიტეიშვილი გულშემატკივრების იმედი ამ შეხვედრაში?

– რა თქმა უნდა, მინდა მოედანზე 90 წუთი ვიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ახლა შეუძლებელია. ჯერ კიდევ ერთი კვირა მაქვს სამუშაოდ და შემდეგ მწვრთნელი გადაწყვეტს, ვიქნები თუ არა ძირითადში და რამდენ წუთს ვითამაშებ.

– საქართველოს ნაკრებს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული და გერმანიის მრავალგზის ჩემპიონი ვილი სანიოლი წვრთნის. როგორი ადამიანი და მწვრთნელია?

– სანიოლი მართლაც ძალიან კარგი ადამიანია, რომელიც ყოველთვის ცდილობს მჭიდროდ იმუშაოს ფეხბურთელებთან და მათთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს. ამასთან, ყოველთვის დაინტერესებულია ჩვენი მენტალიტეტის უკეთ გაცნობით და ჩვენ თავის მხრივ ვსწავლობთ, თუ რას ითხოვს ჩვენგან მოედანზე. იმედი მაქვს, რომ მალე კვლავ ვიქნები ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, რათა გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო და წარმატებებს მივაღწიოთ.

ბითაძის ორმაგი დუბლი

ინდიანა პეისერსის ქართველი ცენტრი გოგა ბითაძე, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში სათადარიგო კალათბურთელის სტატუსით იყო, სასტარტო ხუთეულში დამკვიდრდა და გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშედ იქცა. ბოლო პერიოდში მას შედეგიანობა არ აკლდა, მაგრამ ბოლო მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა. ბოლოს ორმაგი დუბლი ბითაძეს 23 იანვარს ჰქონდა გაკეთებული.

მორიგ მატჩში ინდიანამ დენვერ ნაგეტსს უმასპინძლა, სადაც სახელგანთქმული სერბი ცენტრი, ნიკოლა იოკიჩი ბობოქრობს. სწორედ პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრთან მოუწია ბითაძეს პაექრობა და საკმაოდ მაღალი შედეგიანობის დაფიქსირება. 33 წუთში ქართველმა ცენტრმა 17 ქულა, 10 მოხსნა, 3 პასი, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა მიითვალა. იოკიჩმა მოედანზე 36 წუთი დაყო და 37 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა.

გოგამ 9-დან 3 ორქულიანი, 5-დან 2 სამიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. ბოლო პერიოდის წინა ანგარიში თანაბარი იყო და ბითაძე ბოლო წუთებზე მოედანზე იყო, რაც მისადმი მწვრთნელის ნდობის გამოხატულების მყარი არგუმენტია. სამწუხაროდ, ინდიანა დენვერთან საბოლოოდ დამარცხდა – 118:125.

ბითაძეზე მეტი ინდიანაში მხოლოდ ბადი ჰილდმა მოაგროვა – 20 ქულა. საუკეთესოდ კი ტაირის ჰალიბარტონი დასახელდა, რომელმაც 15 ქულა, 12 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა.

25 მოგებითა და 52 მარცხით ინდიანა აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-13 ადგილზეა და პლეი ოფში გასვლის შანსი დაკარგული აქვს. 5 მატჩიც და ინდიანასთვის 2021-22 წლების სეზონი დასრულდება. შემდეგი მატჩი ბითაძის გუნდს მინესოტასთან ელის, სადაც ქართველ ცენტრს ნბა-ს კიდევ ერთი ტიტანი, კარლ-ენტონი თოუნსი ელოდება.

ალეკსანდრ პეტრაკოვი: „მუნდიალზე ბრძოლით უნდა გავიდეთ“

ბოლო დღეებში იყო საუბარი, რომ უკრაინის ნაკრები მათ ქვეყანაში არსებული საომარი სიტუაციის გამო მსოფლიო ჩემპიონატზე ავტომატურად დაეშვათ. ამის ინიციატივით უელსის ფეხბურთის კავშირი გამოვიდა და რამდენიმე ქვეყნის ფედერაციამ აიტაცა.

თუმცა თავად უკრაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ალეკსანდრ პეტრაკოვს მიაჩნია, რომ მისმა გუნდმა 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური ბრძოლით უნდა მოიპოვოს და სპორტული პრინციპი არ დაარღვიოს.

ალეკსანდრ პეტრაკოვი:

– ყველას ვეუბნებოდით, რას გავაკეთებთ და როგორ მოვიქცევით. უეფა გვეტყვის ივნისის რომელ რიცხვში ვითამაშებთ პლეი ოფის მატჩს ან მატჩებს.

ნაჩუქარი მსოფლიო ჩემპიონატი? იარმოლენკოს ვეთანხმები, უნდა ვითამაშოთ და ბრძოლით მოვიპოვოთ საგზური. ეს ჩემი აზრია. მაგრამ არსებობს ასევე ასოციაციის პრეზიდენტი, აღმასკომი.

ივნისში უკრაინის ეროვნული გუნდი შესარჩევი პლეი ოფის ნახევარფინალში შოტლანდიას შეხვდება, მათში გამარჯვებული – უელსს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ყატარის მუნდიალის ამბები

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ნატამდე მიაღწიეს. მნიშვნელოვანია, რომ ეს გაგრძელდეს. და ეს ტენდენცია შენარჩუნდება, რადგან ეს ჩადებულია კანონმდებლობაში.

მთელი მსოფლიო დაინახავს, რომ ყატარში ყველას მიესალმებიან, თუნდაც ლგბტ-ს წარმომადგენლებს. მესმის სიტყვები იმის შესახებ, რომ არაბული ქვეყანა არ იმსახურებს მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებას, რადგან მას არ აქვს საფეხბურთო ისტორია. ამას სრულიად არ ვეთანხმები, რადგან მთელი მსოფლიო იმსახურებს მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებას.

ფიფა რომ რუსეთის მიმართ ძალიან ლოიალურია, ეს დოჰაში გამართულ 72-ე კონგრესზეც გამოჩნდა, სადაც რუსთა მიმართ არანაირი დამატებითი სანქცია არ გამოიყენეს.

კონგრესზე წევრობა პაკისტანის, ზიმბაბვესა და კენიის ფედერაციებს შეუჩერეს. იყო საუბარი, რომ იმავეს რუსეთის მიმართაც განახორციელებდნენ ან სულაც ორგანიზაციიდან გარიცხავდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა.

მართალია, ფიფამაც და უეფამაც რუსეთის ნაკრებები და კლუბები საერთაშორისო ტურნირებს ჩამოაშორეს, მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ ეს სანქციები გამკაცრდებოდა.

ასეა თუ ისე, რუსეთი ამ ეტაპზე ფიფას წევრად რჩება.

სამგლოვიარო განცხადებები

ანზორ (ბადრი) ასეიშვილის გამოსათხოვარი

მძიმე დაავადებამ უეცრად ხელიდან გამოგვაცალა ერთგული მეგობარი, საყვარელი კაცი, მზრუნველი მამა.

ჩვენ, მეტალურგიული ფაკულტეტის 1967 წლის 648 ჯგუფის კურსდამთავრებულები, მისი მეგობრები თამაზ შუბლაძე, დავით მჭედლიშვილი, ვალიკო ახვლედიანი, თენგიზ ღლონტი, ვახტანგ ანასტასიადი, ბეჟან ვარდოსანიძე ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ანზორის გარდაცვალების გამო და ქედის მოხრით ვუსამძიმრებთ მის მეუღლეს, ქალბატონ მანანას, შვილს თათიას, დას მზიას და შვილიშვილებს.

დაე, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა. სწორედ მასზე თუ იტყვიან, აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესო.

მეგობრები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. ოსმალეთის იმპერიის მმართველთა ტიტული; 4. ორი ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირი; 7. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 8. მსხვილი სამრეწველო-სააქციო გაერთიანება; 12. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 14. ტბა უნგრეთში; 16. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 17. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 19. პოლონეთის პრეზიდენტი; 20. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი.

თარაზულად: 5. უბანი თბილისში; 6. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. წავსებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 10. ღვინის რაოდენობის საზომი ძველებური ერთეული, უდრიდა დაახლოებით ერთ ლიტრს; 11. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 13. გამკილავი შინაარსის მქონე სახელდახელოდ თქმული ლექსი ქართულ ფოლკლორში; 15. პამიდვრით, ბადრიჯნით მომზადებული ცხვრის წვნიანი კერძი; 18. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 21. რაიონული ცენტრი გურიაში; 22. საქართველოში გავრცელებული სწრაფად მზარდი გუტაპერჩის შემცველი ჩინური ხე; 23. უმაღლესი სათათბირო ორგანო ძველად საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პუნსონი; 2. შუკა; 5. ფაცხა; 4. იზმირი; 6. ხამანწკა; 9. საფარა; 13. დოლმენი; 14. ფლუგერი; 15. ნეპერი; 17. პემზა; 18. სქური; 20. წათე.

თარაზულად: 1. პაშტეტი; 5. ფაცხა; 7. მალხაზი; 8. ნეკრესი; 10. შხამი; 11. დონგი; 12. ჩაფარი; 16. კლიჩკო; 17. პრესა; 19. ლემი; 21. მეტეხი; 22. მზიური; 23. ქილიკი; 24. ლინატე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლეგრანი; 2. სეგედი; 3. ლაზარეთი; 4. რიტორიკა; 7. გარპაგონი; 8. კვარიათი; 12. აბრეშუმი; 14. კვესტურა; 16. ვერდერი; 17. ბაღდათი; 19. იდეა; 20. სოჭი.

თარაზულად: 5. ცერცვაძე; 6. ბრაუნინგი; 9. ბალბოა; 10. დაკარი; 11. ვაშლი; 13. ებანი; 15. ღვინიო; 18. ლეონი; 21. კურლანდია; 22. ეიფორია; 23. პანკისი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0896

ევრო — 3.4276

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0545

100 რუსული რუბლი — 3.7593

ამინდის პროგნოზი 1 აპრილისათვის

ბორუსიამ ჰოლანდი 75 მილიონად შეაფასა



დორტმუნდის ბორუსიას თავისი ნორვეგიელი ფორვარდის, ერლინგ ჰოლანდის გუნდში დატოვება გაუჭირდება და დორტმუნდში ამას კარგად ხვდებიან, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არ აპირებენ, ჰოლანდს იოლად შეელიონ.

ბოლო ინფორმაციის თანახმად, ბორუსია ჰოლანდის ტრანსფერში 75 მილიონს ითხოვს და მხოლოდ ამ შემთხვევაში გაყიდის ნორვეგიელ თავდამსხმელს.

ნეიმარი პსჟ-დან წასვლაზე ფიქრობს

პსჟ-ს ბრაზილიელი შემტევი ნეიმარი აქტიურად ფიქრობს გუნდიდან წასვლაზე, რადგან მას არ აკმაყოფილებს პსჟ-ში შექმნილი მდგომარეობა და, გარდა ამისა, მას პოჩეტინოსთანაც აქვს მცირე კონფლიქტი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნეიმარს ინგლისში სურს კარიერის გაგრძელება, თუმცა კონკრეტული გუნდის სახელი ცნობილი არ არის. შესაძლოა, ეს ლივერპულიც აღმოჩნდეს.

იურგენ კლოპი: „არ მეგონა, თუ ჩემპიონობის შანსი გაგვიჩნდებოდა“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ის არ ფიქრობდა, რომ მის გუნდს ინგლისის ჩემპიონობის შანსი გაუჩნდებოდა, მაგრამ მას უხარია, რომ შეცდა თავის პროგნოზებში.

კლოპის აზრით, ლივერპულს შეუძლია, გულშემატკივარი გააკვირვოს:

– მინდა, რომ ჩემმა გუნდმა ბოლომდე იბრძოლოს და, თუ ჩემპიონები ვერ გავხდით, არავინ გვითხრას, რომ არ ვეცადეთ. ლივერპულს ყველაფრის უნარი აქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

თამარ ლიჩელი და ლიზა რამიშვილი უკრაინის დასახმარებლად კონცერტს გამართავენ

10 აპრილს თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში ფონდ „იავნანას“ ორგანიზებით, უკრაინის სოლიდარობის ნიშნად, მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული მუსიკოსების, პიანისტ თამარ ლიჩელისა და ჩელისტ ლიზა რამიშვილის კონცერტი გაიმართება.

კონცერტზე შეძენილი ბილეთების სრული თანხა მოხმარდება უკრაინელ ბავშვებს.

თამარ ლიჩელი:

– 10 აპრილს გეპატიჟებით კონსერვატორიაში საქველმოქმედო კონცერტზე, რომელიც თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს ეძღვნება.

ასტროპროგნოზი

1 აპრილისათვის

ვერძი – ახლობელ ადამიანთან სერიოზულ კონფლიქტს ელოდეთ. შექმნილი სიტუაციიდან თავის დაღწევას მხოლოდ სიმშვიდითა და ემოციების გაკონტროლებით შეძლებთ. **კურო** – საკვები გულმოდგინედ შეარჩიეთ. ერიდეთ ცხიმიან კერძებს. პროფესიულ საქმიანობაში ინტუიციას დაეყრდენით. **ტყუპები** – ნუ მოდუნდებით და რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. ბიზნესპარტნიორები თქვენთვის ხელსაყრელ წინადადებას შემოგთავაზებენ. **კირჩხიბი** – თავს კარგად გრძნობთ. ურთიერთობები თანდათან ლაგდება. ნუ იქნებით აგრესიული. **ლომი** – ახლობელი ადამიანი გულს დაგწყვეტთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. ერიდეთ სასიყვარულო თავგადასავლებს. **ქალწული** – პირად ცხოვრებაზე პლანეტა ვენერას რეგრესული მოძრაობა უშუალოდ აისახება. რომანტიკული შეხვედრებისათვის შეუფერებელი დღეა. **სასწორი** – იყავით თვითკრიტიკული და ისწავლეთ საკუთარი თავის სხვის ადგილას დაყენება. შეცდომებზე დაფიქრდით. **ღრიანკალი** – ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდებით, სადაც ყველა თქვენ დაგადანაშაულებთ. თავის მართლება საჭირო არ არის. მოვლენები თავისთავად დასტაბილურდება. **მშვილდოსანი** – საღი აზროვნების მეშვეობით ნებისმიერ შემთხვევაში გამარჯვებული დარჩებით. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **თხის რქა** – საკუთარი საქციელი გააანალიზეთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში ან ბუნების წიაღში. **მერწყული** – სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. ახლობლებთან სიტუაციის გართულებას არ გირჩევთ. **თევზები** – ნებისმიერი კონტაქტისათვის ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. შესაძლოა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რა არის იშვიათი იღბლიანობა?

– რა და, როდესაც თივის ზვინზე ზიხარ და ამ დროს საჯდომში შეგერჭობა, ნემსი, რომელსაც ოდესღაც იქ ეძებდი.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორე ეკითხება:

– როდისმე მეძავი თუ გამოგიძახია?

– კი, ერთხელ...

– მერე?

– დავჯექით, ვისაუბრეთ... გავიხსენეთ, თუ როგორ დავშორდით ერთმანეთს ორი წლის წინ...

●●●

ბიჭი გოგოს სმს-ს უგზავნის:

– ეს აბონენტი ცოლად გაყოლას გთხოვთ...

მალე მიიღო პასუხი:

– პატივცემულო აბონენტო! თქვენ ანგარიშზე საკმარისი თანხა არ გაგაჩნიათ მოცემული ოპერაციის განსახორციელებლად.

●●●

შვილიშვილი პაპას ეკითხება:

– პაპა, თუ ბავშვობაში არც კომპიუტერი გქონდა და არც ინტერნეტი, მაშინ რა გქონდა?

– ბავშვობა მქონდა, შვილო, ბავშვობა!

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– უკაცრავად, მაგრამ თქვენ ის გოგონა არ ხართ, წუხელის ბარში მაგიდაზე საცვლების ამარა რომ ცეკვავდით?

– ჰოო, როგორც ჩანს, ძალიან ადრე წამოსულხართ ბარიდან!

●●●

ექიმი ყურებდამწვარ პაციენტს ეკითხება:

– ეს როგორ მოგივიდა?

– ტელეფონმა დარეკა და შემთხვევით ცხელი უთო მივიდე.

– და მეორე ყური როგორღა დაიწვით?

– სასწრაფოში რომ ვრეკავდი...

●●●

მძიმედ ავადმყოფმა მამამ შვილს თავისთან უხმო და ეუბნება:

– შვილო, ცოლის მოყვანას თუ აპირებ, ქალაქელი გოგო მოიყვანე...

– რატომ, მამი?

– მაგათ შვილი სამ თვეში უჩნდებათ და იქნებ შვილიშვილს მოვესწრო...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლანა ღოღობერიძის ფილმებს გერმანიაში აჩვენებენ

ქართველი კინორეჟისორის ლანა ღოღობერიძის ფილმებს გერმანიის ქალაქ ვისბადენში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენებენ.

ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით საერთაშორისო კინოფესტივალზე წარმოდგენილი იქნება რეჟისორის მიერ გადაღებული ფილმები: „დღეს ღამე უთენებია“, „ორომტრიალი“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „როცა აყვავდა ნუში“, „ვალსი პეჩორაზე“, „ერთი ცის ქვეშ“, „მე ვხედავ მზეს“, „ფერისცვალება“, „აურზაური სალხინეთში“ და „ოქროს ძაფი“.

საერთაშორისო კინოფესტივალი დამსწრე საზოგადოებას ყოველწლიურად 100-ზე მეტ მხატვრულ, დოკუმენტურ და მოკლემეტრაჟიან ფილმს სთავაზობს.

კინოფესტივალი ქალაქ ვისბადენში 19 აპრილს გაიხსნება და 29 აპრილს დასრულდება.

გოჩა აბულაძემ უკრაინაში დაღუპულ ბავშვებს სიმღერა მიუძღვნა

ოპერის მომღერალმა გოჩა აბულაძემ უკრაინაში დაღუპულ ბავშვებს სიმღერა, უკრაინული საჩურჩულო ნანა მიუძღვნა:

– სიმღერა ეძღვნება ყველა პატარა ანგელოზს, რომლებიც რუსეთის საშინელმა და უსამართლო სისასტიკემ იმსხვერპლა. ბავშვებს, რომლებიც ჯერ კიდევ რუსული ბოროტების საფრთხის ქვეშ არიან, მინდა, ეს უკრაინული საჩურჩულო ნანა უმსუბუქებდეს რაკეტებისა და ბომბების ხმაურს!

დიდება უკრაინას! დიდება საქართველოს!

დიდება ყველა ადამიანს, რომელიც თავისუფლებისთვის ცოცხლობს!

მადლობა უმაგრეს ადამიანს ირაკლი შარაძეს აკომპანემენტისა და თანადგომისთვის. მადლობა ვანო სნოველს გვერდში დგომისთვის!

თავისუფალი თეატრი 21 წლის იუბილეს პრემიერით ზეიმობს

თავისუფალი თეატრი ზუსტად 21 წლის წინ გაიხსნა და მას შემდეგ ათასობით ერთგული მაყურებელი შეიძინა.

საიუბილეო თარიღს თეატრის დამაარსებელი, რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი „ოტელოს“ პრემიერით აღნიშნავს:

– ჩემი და თქვენი „თავისუფალი თეატრი“ 21 წლის გახდა. „თავისუფალი თეატრი“ ჩემი სიამაყეცაა, სიყვარულიც და ახდენილი ოცნებაც.

ესაა თეატრი, რომელსაც ჰყავს საუკეთესო თეატრალური დასი. ამ დასის თითოეული წევრი დაამშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერ სცენას. ამ თეატრის დარბაზში კი ნახავთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო, რჩეულ თეატრალურ მაყურებელს, ნიჭიერ, ინტელექტუალურ ახალგაზრდებს, ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს.

„თავისუფალი თეატრი“ ის დამოუკიდებელი თეატრია, რომელიც თავის პატარა, 180-ადგილიან დარბაზში, 21 წელია, პერმანენტულად გაცილებით მეტ მაყურებელს იღებს, ვიდრე დიდი თეატრები. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ 21 წელია, ერთგულნი ვართ ჩვენი დევიზის: „თეატრი, რომელიც სიმართლესა და დღესასწაულს სთავაზობს მაყურებელს!“

ჩვენი დაბადების დღეა და ამ დღეს „ოტელოს“ პრემიერით აღვნიშნავთ.

ყველას ვულოცავ „თავისუფალი თეატრის“ დაბადების დღეს!

ელენე ბაქრაძის (დარიანის) წიგნის ახალი ტირაჟი მზადაა



ლიტერატურის მუზეუმის მიერ პოეტ ელენე ბაქრაძის (დარიანის) პოეზიის კრებული კულტურის სამინისტრომ გაყიდვიდან ამოიღო, რადგან წიგნში შეცდომით ანა კალანდაძის ლექსი დაიბეჭდა.

ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელმა ლაშა ბაქრაძემ გადაწყვიტა წიგნის ახალი ტირაჟით გამოცემა და ამისთვის საჭირო თანხები საზოგადოებამ გაიღო.

ელენე ბაქრაძის (დარიანის) წიგნის ახალი ტირაჟი უკვე მზადაა. ინფორმაცია ამის შესახებ ლაშა ბაქრაძემ თავად გაავრცელა:

– ელენე ბაქრაძის (დარიანის) წიგნის ახალი ტირაჟი მზადაა. ყველას, ვისაც ერთი ლარი მაინც აქვს გადმორიცხული წიგნის დასაბეჭდად, გთხოვთ, მობრძანდეთ ლიტერატურის მუზეუმში და მიიღოთ კუთვნილი ეგზემპლარი – პარასკევს, 1 აპრილს, 5 საათიდან 7 საათამდე და შაბათს, 11-დან 5 საათამდე. ასევე, წიგნის შეძენა შეუძლია ყველა მსურველს. წიგნის ფასია 25 ლარი.

პირველი აპრილიდან კი ჩვენს მუზეუმში შეგიძლიათ დაათვალიეროთ ჩვენი ახალი გამოფენა ნინო ნაკაშიძის შესახებ, 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 2. წითელი ზღვისპირა კურორტი ეგვიპტეში; 3. პოპულარული ამერიკული თოჯინა; 4. ავსტრიელი მწერალი, ნოველისტი; 6. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 9. დაქირავებული გამყიდველი მაღაზიაში; 13. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 14. ქართველ მწერალ ალ.ჩოფიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 15. სასახლის სახელწოდება იტალიაში; 17. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 18. უმაღლესი მწვერვალი საქართველოში; 20. აეროპორტი პარიზში.

თარაზულად: 1. მზის სისტემის პლანეტა; 5. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 7. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 8. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 11. მაღალხარისხოვანი მინა; 12. ძველი წერილობითი ძეგლების, საბუთების საცავი; 10. შვედური ავტომობილი; 16. მსოფლიო თასის მფლობელი ქართველი მოფარიკავე მამაკაცი; 17. შაქრით, ლიმონისა და ჩაის წვენით შეზავებული ცხელი რომი; 19. ბოროტი, ღვარძლიანი, შურიანი ადამიანი; 21. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 22. პატარა ბაღი; 23. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 24. საქართველოს რაგბისტთა გუნდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა